№ 2805 ოთხშაბათი, 27 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2805 ოთხშაბათი, 27 აპრილი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ფასი ბეჭდვისა: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ბოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს აგზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

იეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
მოუვაჭრებლად. (0—10)

რესტორანი
(ფუნიკულერისა).
სადილი 27 აპრილს 1 ს.—5 ს.:
1. შჩი ლინივი პეროჟკებით.
2. სატაცური ქართულად.
3. ხბო ახალი სალათით.
4. კრემ-ბრულე.
. . . . ყავა.
პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ბ. ი. ჯიჯიჩაძე. კბილის 8—9 საათ.
ბ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. ჯულიძე.—ყურისა, სასის და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაბაძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალ. ექ. ქ. ს. [illegible].—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. ღიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ს. ჯაფარიძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფისთვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაცია მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (წყალის წისქვილთან მეცხრე სახლი) სალი აბრამოვისა, № 9. ვოსკრესენსკის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ხსენებულ ბანკის წესდების მე-89 § ის თანახმად, ბანკის რწმუნებულთა **წლიური საზოგადო მორიგი კრება** დანიშნულია ქუთაისში 28 მაისისათვის 1905 წ. 11 საათზე, ბანკის დარბაზში. კრება წესდების ძალით (შენიშვნა მე-89 მუხლისა) კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა კრების განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა წარსულ 1904 წლისა;
2. განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარე 1905 წლისა;
3. განაწილება თანხისა საზოგადო საჭიროებისათვის;
4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა;
5. არჩევა ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის თითო წევრისა.

თანაშემწე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისა **მ. ფალავა.** (3—6.—1)

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ 27 აპრილს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში მდივნისა, ხაზინადრის და წიგნთსაცავის გამგისა;
2. ნ. დ. ხატისოვი: „Современныя условія вступленія въ бракъ съ врачебной точки зрѣнія".

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც თანაუგრძნობს საზოგადოებას, მობრძანდნენ კრებაზე. (2—უ.—1).

სტუდენტი ეძებს გაკვეთილს აქ, ან საგარაკოდ.
ადრესი: მამა დავითის მოედანი, სახლი ექიმი ქიქოძესი, სტუდენტ ა. გ. (3—1)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—53).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალების ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ხვანიშვილისა № 11.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში ლომბერგის ბანკის სახლი. (60—408—60)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—20)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 აპრილი

ტოკიო. რუსეთი დაჟინებით თხოულობს ჩინეთის მთავრობისაგან, დაიცვას ნეიტრალიტეტი მონგოლიაში, ტელინის ჩრდილოეთ დასავლეთით, რათა რუსის ჯარები უზრუნველი გახდნენ იაპონელების გარს შემოვლიდან. ჰფიქრობენ, ვლადივასტოკის საკრეისერო რაზმი ჩქარა გამოვა ზღვაში, რათა მიმოსვლა გამართოს ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრებსა და მთავარ სამმართველოსთან ვლადივოსტოკში.

საიგონი, 25 აპრილი. ნებოგატოვის ესკადრამ საიგონთან ჩაიარა.

გიბრალტარი. მოვიდა ინგლისის ორთქლმავალი გემი და შეუდგა ფლოტისთვის 400 ტონა მასალის ტვირთვას; ეს მასალა გონკონგს უნდა გაიგზავნოს. საზღვაო მთავრობას ბრძანება მოუვიდა, რაც შეიძლება, ჩქარა გაიგზავნოს ეს ტვირთი.

ტოკიო. იაპონიის პრესა წინადადებას აძლევს საფრანგეთს, დანებოს თავი თავის ორ პირ მოქმედებას და პირდაპირ განაცხადოს, რომ ის რუსეთს ემხრობა.

ლონდონი. „ტაიმს"-ი ბეჭდავს „ლაფანის სააგენტო"-ს კორესპონდენტისაგან გამოგზავნილ დეპეშას გონკონგიდან; ეს დეპეშა არ გაუშვია საფრანგეთის საიგონელ ცენზორს. ამ დეპეშით კორესპონდენტი იუწყება, რომ მას უნახულებია კამრანის ბუხტა და პირად დაკვირვებისაგან შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: საფრანგეთს რომ არ გაეწყო ხელი რუსის ესკადრისთვის ახალ სურსათის წაღებაში, არ მიეცა ნება ესარგებლებინა საფრანგეთის ტელეგრაფით და მთელ ათის დღის განმავლობაში მდგარიყო ნავთსადგურში, მაშინ რუსის ესკადრა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდაო. „ტაიმს"-ი მეთაურ წერილს სტამბავს ამის შესახებ და იმედს აცხადებს, რომ საფრანგეთს სწორედ ესმის ახლანდელ მდგომარეობის სერიოზული ხასიათი. ძლიერ შეცდება საფრანგეთი, თუ იფიქრებს, რომ იაპონიის პროტესტს შეიძლება აგდებულათ მოეპყრან. იაპონიის პრესა და ხალხი დარწმუნებული არიან, რომ საფრანგეთის გამუდმებული სტუმართ-მოყვარეობა რუსეთის ესკადრისადმი, უკანასკნელის ბრძოლის ასპარეზისაკენ მოგზაურობის დროს, ენერგიულ ზომებს გამოიწვევს იაპონიის მხრივ, თუ საფრანგეთი დაუყოვნებლივ არ აიღებს ხელს ამგვარ საქციელზე. საფუძველია ვიფიქროთ, რომ ლანსდოუნმა, რომელსაც, უეჭველია, სურვილი აქვს კეთილ-განწყობილება იქონიოს საფრანგეთთან, ძლიერ დაბეჯითებით განუცხადა საფრანგეთის მთავრობას პროტესტი მისგან შორეულ-აღმოსავლეთში ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. კრიზისი ჩქარა და საბოლოოთ უნდა გადაწყდეს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობა გამწვავდება და არა სასურველ ხასიათს მიიღებს. თუ დამტკიცდა იაპონიის ბრალდების სიმართლე და თუ იაპონიამ მოსთხოვა ინგლისს, შეასრულოს თვისი ვალდებულებანი, მაშინ საფრანგეთმა უნდა იქონიოს სახეში, რომ ინგლისს არ შეუძლიან რჩევაში შევიდეს და ის იძულებული გახდება აღასრულოს დანაპირები.

პეტერბურგი. გენ. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 24 აპრილის თარიღით: „21 აპრილს იაპონელ ცხენოსნებმა შეავიწროვეს ჩვენი მოწინავე რაზმები მარჯვენა ფრთაზე და სროლის დროს დასჭრეს შტაბს-კაპიტანი კოპტევი".

ერივანი. 22 აპრილს გაიფიცნენ სასტუმროებისა, კლუბებისა და რესტორანების მეკარეები, ოფიციანტები და მზარეულები. გაფიცულებმა გავლენა იქონიეს ტრაქტირებსა, სამიკიტნოებსა და სასურსათო დუქნებზე და უკანასკნელებმაც მაინებს თავი გაჰკრეს. წესიერება არ დარღვეულა. სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა ჩალეწეს სასწავლებლის ფანჯრები და ქუჩაში გაიარეს. წესიერება პოლიციამ აღადგინა.—თათრების სოფ. ხაჩარისა და სომხების სოფ. კალადის მცხოვრებლებს ამ დღეებში შეტაკება მოუვიდათ ერთმანეთში; შეტაკება მიწის შესახებ დავამ გამოიწვია. სროლის დროს დაიჭრა ერთი მუსულმანი და მოჰკლეს მუსულმანი, რომელიც სომხებს გამოესარჩლა და პოლიციის დარაჯი სომეხი.

კიევი, 24 აპრილი. კრეშჩატიკზე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ასამდე ნოქარმა ჩამოუარა მაღაზიებს და უქმის გამო მოითხოვა მათი დაკეტა. მეტი წილი მაღაზიებისა საჩქაროდ იკეტებოდა, ვინაიდან ძალადობის ეშინოდათ.

რიგა. ღამით ქალაქ გარედ, მიტავის უბანში, რევოლვერები ესროლეს უცნობებმა შინ მიმავალ გოროდოვოის კარნინსკის, სამი სასიკვდილო ჭრილობა მისცეს მას გვერდსა და მუცელში და მიიმალნენ.

განჯა. რკინის გზაზე ბუფეტებში მოსამსახურეებმა გაფიცვა დაიწყეს.

კოვნო. გუშინ ებრაელებმა არეულობა მოახდინეს, უვირდნენ და რევოლვერებს ისროდნენ.

ბაქო, 25 აპრილი. ტეუელის ცნობა ბაქოში ხელზე მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ. დროებითი პოლიცმეისტერი ბაქოსი შუმანსკი.

ბერლინი, 22 აპრილი. დაიწყო დღესასწაული შილერის გარდაცვალების ასის წლისთავის გამო.

ლონდონი. ჩემბერლენი საკმაოდ გახდა ავათ.

ადესა. ადგილობრივ გაზეთების მეკრონიკეების კრებაზე დადგენილ იქნა, აღადგინონ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეების საზოგადოება, რომელიც ნაკრობას აპირებს; ამ საზოგადოებას მიზნათ აქვს მოღვაწეთა შეერთება, გამომცემლებთან უთანხმოების გამორკვევა და ნივთიერ და ზნეობრივ მდგომარეობის გაუმჯობესება.

თეირანი. 22 აპრილს შაჰი ევროპას წავიდა.

კანეია. მაჰმადიანთა საზოგადოება შეაშინა მათ ქალაქში მომხდარმა მღელვარებამ. 150 მაჰმადიანი მცირე აზიაში წავიდა აქაურ მღელვარების გამო. აჯანყებულებმა დაიჭირეს ქალაქი გასტელი, რომელიც კანდიასა და რეტიმნეს შორის ძევს, ჩრდილოეთის სანაპიროზე.

ათინა. ხმებია, მეფის შვილს, გიორგი საბერძნეთისას, განზრახვა აქვს გამოვიდეს სამსახურიდან იმ გაჭირვებულ მდგომარეობის გამო, რომელშიაც იგი უკანასკნელ დროის ამბებმა ჩააყენეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 აპრილი

საიგონი, 25 აპრილი. საიგონში მოვიდა ორთქლ-მავალი გემი „კოსტრომა".

ტოკიო. 25 აპრილი. (რეიტ.) მთავრობა მუშაობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს მანჯურიის იმ ადგილებში, რომელნიც იაპონელებს აქვთ ხელში, სამხედრო ადმინისტრაცია სამოქალაქოზე. სამმართველოს მეთაურებად არმიის აფიცრები დარჩებიან, მაგრამ მათ თანაშემწეებად დაენიშნებათ ისეთი პირნი, რომელთაც იციან სამოქალაქო მართვა-გამგეობის საქმეები და აგრეთვე სამოქალაქო პოლიცია. ხარჯის დასაფარავად გადასახადი იქნება შემოღებული.

გონკონგი, 25 აპრილი (რეიტ.). ორთქლმავალ გემს „ჩატერთზ"-ს დაუნახავს 22 აპრილს ხონკოეს ახლოს რუსის კრეისერი. იმავე დროს ბუხტიდან გამოსულა სანახშირე ტრანსპორტი. იაპონელებმა გაჩერეს კორეის სრუტეში ორთქლ-მავალი გემი „ანდოლლა", რომელიც მურორანიდან მოდიოდა, ჩვენება ჩამოართვეს და გაუშვეს.

ტოკიო, 25 აპრილი. (რეიტ.) ადგილობრივ სავაჭრო პალატის წევრმა წარადგინა მოხსენება, საფრანგეთის საწინააღმდეგო რეპრესალიების შესახებ. ის წინადადებას იძლევა, ვინაიდან საფრანგეთი ხელს უწყობს როჟესტვენსკის და სტუმართ მოყვარეობით უმასპინძლდება მას, ამიტომ სახელმწიფოს სავაჭრო პალატებმა ბოიკოტი გამოუცხადონ საფრანგეთის ვაჭრობასო. ტოკიოს პალატა, ალბად, უყურადღებოდ დასტოვებს ამ მოხსენებას.

პარიზი. 25 აპრილი. „ჰავას"-ის სააგენტოს მიანდეს განაცხადოს გონკონგიდან მოსულ დეპეშის დასარღვევათ, რომ საფრანგეთის მთავრობას ნეიტრალიტეტი არ დაურღვევია და მან ინსტრუქციები გაუგზავნა თავის აგენტებს ნეიტრალიტეტის წესებით სარგებლობისა და მათის სასტიკად აღსრულების შესახებო.

პარიზი, 25 აპრილი (ჰავასი). გუშინ, ნაშუადღევს, იაპონიის ელჩი მოტონო დიდხანს ემუსაიფა დელკასეს.

პეტერბურგი, 25 აპრილი. ბეჭდვით სიტყვის შესახებ დაარსებულ მცირე კომისიაში, რომელმაც უნდა გადასინჯოს სისხლის სამართლის დებულება პრესისა, მონაწილეობას იღებენ კონი, სლუჩევსკი, თ. შახოვსკი, არსენიევი, თ. ცერტელევი და დერიუჟინსკი. თავმჯდომარეთ კონი აირჩიეს.

ადესა, 25 აპრილი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ცნობა მიიღო, ადესის პოლიცმეისტერ გოლოვინის მოკვლის განმზრახველი და მისი დამჭერელი დაბალი მოქალაქე აბრამ შტილმანი სამხედრო სამართალშია მიცემულიო; იმავე სამართალში მისცეს ისაკ ბუბინსკი, რომელმაც ბოქაული ოდეშევსკი დასჭრა.

კელცი, 25 აპრილი იწვის ქალაქი ხენცინი. 120 სახლი უკვე განადგურებულია.

ბაქო, 25 აპრილი. შაბათს წარუდგნენ სენატორ კუზმინსკის სამი მრეწველთა სიეზდისა და საბჭოს კომიტეტის დეპუტატები და სთხოვეს, მიიღოთ ზომები მამავალ სამრეწველო კრიზისის მოსასპობათაო. სენატორმა განუცხადა, ბაქოს ამბების გამოძიება სწარმოებს, ზომებს მივიღებთ გამოძიებულ მასალის მიხედვით და, რასაკვირველია, ეს ზომები დაამშვიდებენ ბაქოს მცხოვრებლების ეკონომიურ ინტერესებსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რა გავლენას იქონიებს ფლოტის მოქმედება ხმელეთის ჯარის მოქმედებაზე. „ტაიმს"-ის სამხედრო მიმომხილველი ბეჯითად და საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომ ადმ. როჟესტვენსკის არა თუ გამარჯვება, იმისი მისვლაც იაპონიის ზღვაში შეაყენებს მარშალ ოიამას მოქმედებას მანჯურიაში და, როგორც ამას წინედ „ნოვოე ვრემია" ამბობდა, „სულ აურ-დაურევს ცბიერ იაპონელების სტრატეგიულ პლანებსაო". გაზეთი სწერს: „ვსთქვათ, რომ ადმ. როჟესტვენსკის საქმე მშვენივრად წავიდა, რუსის ადმირალი ადმ. ნებოგატოვის ესკადრას შეუერთდა და სრულიად უვნებლად ვლადივასტოკს მივიდა; ვსთქვათ აგრეთვე, რომ ადმ. ტოგო დამარცხდა და იაპონიისაკენ დაიხია. ამბობენ, თუ ზღვაზე ამნაირად წავიდა საქმე, მაშინ იაპონელებს საქმე ხმელეთზედაც სულ სხვანაირად დატრიალდება, მარშალ ოიამას არმიას იაპონიის გზა მოჭრილი ექნება და იძულებული იქნება წინ გალაშქრებაზე ხელი აიღოს და ზღვისაკენ დაიხიოსო. ამაზე უფრო ახირებულ და სულელურ აზრს კაცი ვერც-კი წარმოიდგენს. იაპონელებმა ეს არის ეხლა გამართეს ფუზან-სეულ-ანჩჟუს რკინის გზა, ანჩჟუდან ლიაოიანამდე და ლიაოიანიდან მუკდენამდეც რკინის გზა აქვთ გაყვანილი; რუსის სამხედრო გემები ამ რკინის გზას სრულებით ვერას დააკლებენ. გინდ ადმ. როჟესტვენსკიმ მოახერხოს და ალყა შემოარტყას სამხრეთ-კორეის პორტებს, ფუზანი ისე ახლოა მდებარეობს იაპონიის პორტებიდან, რომ იაპონიის სატრანსპორტო გემები ყოველთვის მოახერხებენ შეუნიშნავად მისვლას ფუზანამდე. ნამდვილად-კი მეტად ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსის ადმირალმა ვლადივასტოკიდან 500 და 600 მილი გაიაროს სამხრეთ-კორეის პორტებამდე, თავის ბაზას ასეთ დიდ მანძილზე მოჰშორდეს და თავისი კრეისერები განსაცდელში ჩააგდოს რაღაც ერთის, ან ორის ტრანსპორტის დასაღუპავად. ვსთქვათ, რომ ადმ. როჟესტვენსკიმ ეს საქმეც მოახერხა, მაგრამ იაპონელებს კიდევ სხვა გზები აქვთ მანჯურიაში წასასვლელად: ნაგასაკი-დალნისა და ნაგასაკი-ინკოუს გზები; ეს გზები უფრო შორსაა ვლადივოსტოკზე და რუსის ესკადრა ვერ-კი გაჰბედავს იქ ჩასვლას, რადგან იქ ძალზე გამაგრებული კუნძული კველპარტი მდებარეობს. ასე რომ გინდ ადმ. როჟესტვენსკიმ გაიმარჯვოს, მარშალი ოიამა სრულიბით არ შეწუხდება. იაპონიის გზა მაინც თავისუფალი ექნება და გინდ რუსებმა მოახერხონ და ორიოდე დღით შეუკრან რომელიმე გზა, ეს სათქმელ ზარალს არ მოუტანს იაპონიის არმიას, მით უმეტეს რომ მთელი სამხრეთი მანჯურია მდ. იალუს შესართავიდან ლიაოიანამდე გავსებულია სამხედრო და საკვებ სურსათის საწყობებით. ამ საწყობებში იმდენი სურსათია დამზადებული, რომ მარშალ ოიამას არმია სამ თვეს წავა იოლად, გინდ იაპონიიდან ნამცეცი სურსათიც არ მოუვიდეს. გენ. ლინევიჩი დიდ და მეტად საშიშ შეცდომას ჩაიდენს, თუ ადმ. როჟესტვენსკის იმედად დადგება და იფიქრებს, იქნება რუსის ფლოტმა იაპონელებს პლანები შეაცვლევინოსო და იმის დაგვარად თავის პლანიც შესცვალოს. მარშალმა ოიამამ ერთის წლის ომის შემდეგ ისე მაგრად მოიკიდა ფეხი მანჯურიაში, რომ რუსის ფლოტის ზღვაზე გამარჯვება ვერაფერს ველარ დააკლებს. რაც უნდა კარგადა და მოულოდნელად დატრიალდეს საქმე, ადმ. როჟესტვენსკი მხოლოდ უმჯობეს მდგომარეობას დაუბრუნებს რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში, როგორიც რუსეთს ომამდე ჰქონდა, მაგრამ მანჯურიასა და პორტ-არტურს ველარ დაიბრუნებს, ვლადივოსტოკს ალყის შემორტყმას ვერ ააცდენს და ხარბინს იაპონელების ხელიდან ვერ იხსნის. რუსეთის გამარჯვება ზღვაზე—გინდ მოხდეს როგორმე—მეტად დაგვიანებული გამარჯვება იქნება. („ო. ნ.").

ადმ. ტოგოს მოქმედება. „კიევსკაია გაზეტა"-ს ძლიერ აოცებს და აშინებს ადმ. ტოგოს მოქმედება. გაზეთი სწერს: ადმ. ტოგოს ფლოტზე არავითარი ცნობა არ მოდის; ძლიერ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ მხნე და ბეჯითი იაპონელები აქამდე ერთხელაც არ დასცემიან რუსის ესკადრას. იქნება ადმ. ტოგოს უბრძოლველად უნდოდეს ადმ. როჟესტვენსკის გაშვება ვლადივოსტოკამდე, მაგრამ იმის ნაღმიან გემებსა და კრეისერებს მაინც ძლიერ უნდა შეეწუხებინათ რუსის ესკადრა და მეტადრე სატრანსპორტო გემები. მაგრამ იაპონელი ადმირალი დღემდე არაფერს არა თავობს და სწორედ ეს სრული უმოქმედობა გვაფიქრებს: ვინ იცის, იაპონელები რა საქმეს უპირობენ რუსის ფლოტსაო.

ამბობენ, ადმ. ტოგო თავის უმთავრეს ფლოტით კორეის სრუტეში დგას იაპონიის ახლო და იქ ელის რუსის ფლოტსაო. როგორ წავა საქმე და ვინ გაიმარჯვებს, ეს ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ იმისი თქმა-კი დარწმუნებით შეგვიძლიან, რომ იაპონელები გულ-მხურვალედ დაუხვდებიან რუსის ესკადრას ფორმოზასა და კორეის სრუტეებშიო,—შენიშნავს ერთი რუსული გაზეთი. („ო. ნ.").

„ინდეპ. ბელჟ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: მეტად საინტერესოა, რომ იაპონელებმა შეერთება არ დაუშალეს ადმ. ნებოგატოვსა და ადმ. როჟესტვენსკის. ეტყობა, ადმ. ტოგოს არც ერთი რაზმი არ გაუგზავნია ნებოგატოვის ესკადრაზე დასაცემად, თუმცა ეს ადვილი საქმე იყო. რად აძლევს შეერთების ნებას რუსის ესკადრებს ფრთხილი და გამჭრიახე იაპონელი ადმირალი? უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბად, იაპონელ ადმირალს საკმაო ძალა აქვს შეერთებულ რუსის ფლოტთან საბრძოლველად და ამიტომ არ უშლის რუსის ესკადრებს შეერთებას. დღემდე არავინ იცის სად იმყოფება ადმ. ტოგოს უმთავრესი ფლოტი. ზოგი ირწმუნება, ადმ. ტოგო „ფორმოზას

სრუტეში დგას და იქ შეებრძოლება რუსის ფლოტს, თუ ადმ. როჟესტვენსკი ფორმოზას სრუტეთი წავა ვლადივოსტოკისაკენაო. ზოგი ამბობს, ადმ. ტოგო კორეის სრუტეში დგას, კუნძულ ცუსიმას ახლო და იქ ელის რუსის ესკადრასაო, მაგრამ ადმ. როჟესტვენსკის შეუძლიან წყნარ ოკეანეში გავიდეს და იაპონიის გარშემო მოუაროს იმ გზით, რა გზითაც „ნოვიკი" წავიდა 28 ივლისის ბრძოლის შემდეგაო. („ნ. დ.").

როგორ მოიქცევა ადმ. როჟესტვენსკი. „ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან, ერთმა რუსის ადმირალმა მითხრა: „ჩემის აზრით, ადმ. როჟესტვენსკი არ შეებრძოლება ადმ. ტოგოს, თუ კი როგორმე მოახერხა. ადმ. როჟესტვენსკი ადმ. ნებოგატოვის ესკადრას შეუერთდება, წყნარ ოკეანეში გავა და ეცდება, რომ ადმ. ტოგოს, რაც შეიძლება, შორს შეხვდეს იაპონიის ნაპირებიდან. თუ იაპონელები დაეცემიან, ადმ. როჟესტვენსკი თავის ყველა მსწრაფლ შავალ კრეისერს გზას გაუყენებს, თითონ კი 11 ჯავშნიან გემითა და 3 ჯავშნიან კრეისერით იაპონიის ფლოტს შეებრძოლება. რუსის ადმირალმა უსათუოდ უვნებლად უნდა გადაარჩინოს თავისი კრეისერები; ეს კრეისერები ბრძოლაში არ გამოდგებიან, გზებზე თარეშობით-კი დიდ ზარალს მოუტანენ იაპონიის სატრანსპორტო გემებს. როჟესტვენსკი, ჩემის აზრით, ფორმოზას სამხრეთით არ შეებრძოლება ტოგოს, რადგან, იქ რომ დამარცხდეს, ვლადივოსტოკში ველარ მივა. რუსის ადმირალი უსათუოდ წყნარ ოკეანეში გავა და თუ თავიდან ვერ აიცდინა ბრძოლა, ისეთ ადგილას შეებრძოლება იაპონელებს, საცა რუსის ფლოტი უფრო ახლო იქნება თავის ბაზაზე, ვიდრე ადმ. ტოგო და ამ გვარივ სტრატეგიული უპირატესობა ექნებაო. („ნ. დ.")

„კენინგს. ცაიტ."-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: თუმცა ოფიციოზურად უარს ჰყოფენ, მაგრამ საქმეში ჩახედულ წრეებში მაინც ირწმუნებიან ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას 7 სამხედრო გემი მოემატა, არგენტინისაგან ნაყიდიო. ასე რომ როჟესტვენსკის გაცილებით მეტი გემი ჰყავს ვიდრე ადმ. ტოგოსაო. („ნ. დ.").

ტყვე რუსები იაპონიაში. „ლოკალ ანცაიგერ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, ტყვე რუსის გენერლებმა სმირნოვმა, ფოკმა და ნადეინმა (პორტ-არტურიდან არიან) ქალ. ნაგოიაში მოწოდებით მიჰმართეს თავის ტყვე ამხანაგებს—აფიცრებსა და სალდათებს და ბეჯითად ურჩიეს, ურიგოდ ნუ იქცევით და სკანდალებს ნუ ახდენთო. გენერლები „კიდევ ერთხელ" სთხოვენ ტყვე რუსებს, თქვენ მდგომარეობას დაუფიქრდით და ამას იქით ისე მოიქეცით ამ განათლებულ ქვეყანაში, როგორც რიგიან ხალხს შეჰფერისო. („ნ.").

იაპონიის ჯარის მოქმედება ვლადივოსტოკისა და გირინის მხარეს. იაპონიის ჯარი შუა მანჯურიის გარდა, ჩრდილოეთ კორეიაშიაც მოქმედებს—ვლადივოსტოკისა, ნინგუტისა და გირინის გზებზე. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი 15 აპრილის თარიღით იუწყება გუნჩულინიდან: „სხვა-და-სხვა მიზეზით შეუძლებელია სწორე ცნობების გამოგზავნა იმ ამბებზე, რაც გირინისა და ვლადივოსტოკის მხარეს ხდება. მდ. იალუს მხარესა და ჩრდილოეთ კორეიაში ადგილობრივი მცხოვრებლები შეშინდნენ და ზოგან აიყარნენ კიდევაც. 18 მარტს კილჩჟუსთან (ჩრდილოეთ კორეიაშია, ზღვის ნაპირს ახლო) შეტაკება მოხდა, მარტის გასულს კილჩჟუ იაპონელებმა დაიჭირეს, აპრილის დამდეგს კაცამის უღელტეხილიც აიღეს. იმათი მზვერავი რაზმები ბენჩჟენამდე ავიდნენ. თითქმის ამავე დროს იაპონელების პატარა-პატარა რაზმები ხუნჩუნთანაც გაჩნდნენ (პოსიეტის ყურეს პირ-და-პირ, დასავლეთით). გირინიდან 150 ვერსტზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ქალაქი ომოსო მდებარეობს. ამ ქალაქის მცხოვრებლები ანგლიკანის სარწმუნოებისანი არიან და იაპონელებს თანაუგრძნობენ. ჩინელები ირწმუნებიან, იაპონელებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ომოსოსაო, იმათი მზვერავები ბევრჯელ მოვიდნენ, აქაურობა დაათვალიერეს და მერე საითღაც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, ან გირინისაკენ მიდიოდნენ; იქნება იაპონელებმა ქალ. ომოსო დაიჭირონო.

დროა თუ არა?

II

ეროვნულ საკითხის აღძვრა, ვიმეორებთ, რუსეთის დღევანდელ საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელს არ უშლის, რადგან რუსეთის უახლოესი საგანია—ფართოდ გადასწყვიტოს პოლიტიკური საკითხი: ახლად მოაწყოს სახელმწიფო. სწორედ განმათავისუფლებელ მოძრაობის დედა-აზრია—შეჰქმნას ისეთი ახალი ძირითადი კანონები, რომელნიც შესაძლებლად გახდიან მთელის რუსეთის სახელმწიფოს ნორმალურს განვითარებას ამ ძირითად კანონებში უთუოდ უნდა იქნას ეროვნული საკითხიც, რადგან სხვა-და-სხვა ერთა არსებობა რუსეთში ფაქტია,—რეალური ფაქტი, რომლის უარყოფა მხოლოდ უნიადაგო ფანტაზიორებს შეუძლიათ. ამიტომაცაა, რომ თვით რუსეთის მოწინავე საზოგადოებას არა თუ არ ეშინია ეროვნულ საკითხის დღესვე წინ წამოყენებისა, არამედ აუცილებელ საჭიროებად სთვლის ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას მომავალ დამფუძნებელ კრებაზე.

დღევანდელ ისტორიულ მომენტის მნიშვნელობა ასევე ესმის რუსეთის ყველა ერებს, რომელნიც კულტურულად ცხოვრებენ. ფინლანდიელნი, პოლონელნი, ლატიშები, ესტები, უკრაინელები, ერთის სიტყვით, ყველანი ენერგიულ მონაწილეობას იღებენ დღევანდელ მოძრაობაში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ შიდა რუსეთის საკითხთან ერთად უნდა გადაწყდეს განაპირა ქვეყნებისა და არა-რუს ერების ბედ-ზედიც. ამ ერების მომქმედ ელემენტებს და პარტიებს კარგად აქვთ გათვალისწინებული წარსულიცა და მომავალიც და ესმით, რა დიდის მნიშვნელობის ხანა დადგა ახლა რუსეთის ისტორიაში.

რა იყო არა-რუსთათვის წარსული? ერთნაირი იყო იგი რუსებისათვის და სხვა ერებისთვისაც, თუ განსაკუთრებულის ხასიათისა? ყველამ იცის, რომ არა, ერთნაირი არ ყოფილა. თუ რუსის ხალხს ბიუროკრატიული რეჟიმი ახრჩობდა, ავიწროებდა, სიცოცხლეს უშწარებდა, არა-რუსთ იგივე რეჟიმი იმავე დროს განსაკუთრებულს შევიწროებას აყენებდა. ბიუროკრატია თავგამოდებით იცავდა ძალით ასიმილიაციის პრინციპს, გარუსების სისტემას და სასტიკად სდევნიდა სხვა ერების ყოველგვარ ეროვნულ დაწესებულებას ან მისწრაფებას. სდევნიდა ენას, სდევნიდა ნაციონალურ სკოლასა და ლიტერატურას, ხელოვნურ დაბრკოლებას უჩენდა არა-რუსის ხალხის განვითარებას; ბიუროკრატია არაფერს არ ზოგავდა, რომ დაეხშო ყოველი ეროვნული განსხვავება და ამით ლამობდა ყველას გარუსებას, სახელმწიფოს თავისებურად გაერთიანებას. რა მოჰყვა ასეთს პოლიტიკას, ყველამ კარგად იცის: ფინლანდიის, პოლონეთის, კავკასიის დღევანდელი აწიოკებული მდგომარეობა უტყუარად ღაღადებენ, რა შემცდარი და რა მავნებელი იყო რუსეთის ბიუროკრატიის ცენტრალისტური და ასიმილაციური პოლიტიკა; ამ პოლიტიკამ ხელი შეუწყო განცალკევების ტენდენციებს და ხელი შეუშალა სახელმწიფოს ნაწილების სამართლიანსა და ნამდვილს გაერთიანებას.

ასეთია წარსული და საკვირველიც არ არის, რომ ყველა შევიწროებული ერებიც, ყველა მოქმედი ელემენტები თითოეულ ერისა და თვით რუსის ერის საუკეთესო ნაწილიც სრულიად უარჰყოფენ ხსენებულს პოლიტიკას და რუსეთის ბიუროკრატიის იმიტომაც ებრძვიან, რომ ამ მხრითაც ძველმა რეჟიმმა სრული უძლურება და გაკოტრება გამოიჩინა...

რა იქნება არა-რუსთათვის ახლო მომავალი? რაც უნდა ოპტიმისტები ვიყოთ, როგორის აზრისაც არ უნდა ვიყოთ განმათავისუფლებელ მოძრაობის მომავალ გამარჯვებაზე, იმაში მაინც ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთი ვერ გადასწყვეტს ახლო მომავალში დიდ სოციალურ საკითხს; დიდი დიდი, რუსეთი გაუსწორდეს ევროპის მოწინავე სახელმწიფოებს და განახორციელოს ცოტად თუ ბევრად დემოკრატიული რეჟიმი; ამით არა მოისპობა ბურჟუაზიის ბატონობა და სოციალური ერთობა არ დამყარდება, ბურჟუაზიის ბატონობას-კი თან სდევს ეროვნული ბატონობა, ერთის ერის მეორეზე გაბატონების პრინციპი. ამის უტყუარ მაგალითს ევროპის დღევანდელი სახელმწიფოები წარმოგვიდგენენ: სადაც-კი არსებობს დამპყრობელი და დაპყრობილი ერები, ეროვნულ დაჩაგვრასაც ადგილი აქვს და ერთა ბრძოლა აბრკოლებს კლასთა ბრძოლას, ხალხთაშორის ნამდვილ გაერთიანებას, სოლიდარობის დამყარებას. გაიხსენეთ თუნდ პოლონელთა მდგომარეობა გერმანიაში, თუნდ სლავიანთა ავსტრიაში. დღეს ამ დაჩაგრულ ერთა მთელი ძალ-ღონე იმაზე იხარჯება, რომ დაიცვან თავისი უფლებანი, უფლება თავისუფალ კულტურულ განვითარებისა. ეს ზედმეტი სადავიდარაბო საგანი რომ არ ჰქონდეთ ამ ერებს და თავიანთი ფართო თვითმართველობანი დაეარსებინათ, გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფოთა ერთიანობა უფრო დაცული იქნებოდა და სხვა-და-სხვა ერის ხალხსაც, პროლეტარიატსაც, მეტი ძალა ექნებოდა, მეტი მნიშვნელობაც გერმანიისა და ავსტრიის მუშათა საერთო მოძრაობაში. ეს გარემოება კარგად ესმის, მაგალითად, ავსტრიის ხალხთა სოციალ-დემოკრატიას და ამიტომაც სწორედ ეს პარტია ითვისებს ფედერატიულ პრინციპს, ეროვნულ-ავტონომიების საჭიროებას, ხოლო ამ პრინციპის მოწინააღმდეგედ გამოდიან ბურჟუაზიულ-ფეოდალური პარტიები, რომელთათვის ხელ-საყრელია ერთა დღევანდელი ბრძოლა: დღეს ავსტრიაში ერთმანეთს ებრძვიან გერმანელი, პოლონელი, რუსინი და მრავალი სხვა; ხოლო როცა ამ ერთ თავისუფალი ავტონომიები ექნებათ და ამით ეროვნულ მწვავე განხეთქილების ნიადაგი მოესპობათ, მაშინ კლასთა ბრძოლა მთელს ავსტრიაში უფრო გაძლიერდება და გაერთიანდება; აი, ამისი ეშინია ავსტრიის ბურჟუაზიასაც.

რუსეთის არა-რუს ერებმა ავსტრიელებზე უკეთ იგემეს ცენტრალურ რეჟიმის სიმწარე და ერთის ერის მეორეზე გაბატონების მნიშვნელობა. ამიტომაც ვხედავთ, რომ, მაგალითად, რუსეთის პოლონეთში უკიდურესი პარტიებიც კი თხოულობენ ავტონომიას. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის მომავალი წეს-წყობილება ბურჟუაზიული იქნება და არა თუ არ მოსპობს მწვავე ეროვნულს განხეთქილებას, არამედ კიდევ უფრო გაამწვავებს ერთა შორის ურთიერთობას; ხოლო ეს გარემოება, ე. ი. დაუსრულებელი ბრძოლა ერთა შორის, შეაჩერებს სოციალურის, კლასიურის, თვითცნობიერების განვითარებას პოლონეთის ხალხისას და დააბრკოლებს მთელის რუსეთის მშრომელ ელემენტების ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ.

ამავე აზრის არიან სხვა ერების (ლატიშთა, ესტთა, უკრაინთა, ფინთა) დემოკრატიული ელემენტები. ყველა ჰხედავს, რომ, თუ დღეს არა, ხვალ გვიან იქნება ეროვნულ თვით-მმართველობაზე ფიქრი; გვიან იქნება იმიტომ რომ პოლიტიკურად განთავისუფლებული რუსეთი ძალიან გამაგრდება, ძალიან წაიწევს წინ და დიდ ხანს არავის არაფერს არ დაუთმობს. მხოლოდ ჩვენი „დასელები" ვერ ჰხედავენ ამას, განზრახ აბნელებენ მარტივ საკითხს და ამით ძალას უკარგავენ მთელის რუსეთის დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენს „დასელებს" დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ ხალხის თვითცნობიერების განვითარების საქმეში, მაგრამ ჩვენის ქვეყნის მომავალი ისტორია არ აპატიებს მათ, რომ ასეთ დიდ-მნიშვნელოვანსა და ძნელს დროში ორ სკამს შუა დასხდნენ და ყოველ-ღონესა ხმარობენ ეროვნულ საკითხების გასაფუჩეჩებლად...

მაგრამ, გავუსინჯოთ კბილი მათ „ყოველ-ღონესა", ხერხსა და საბუთებს. განი

სოფლად

კახეთი. აღდგომის დღესასწაულებმა ისე მხიარულად ვერ ჩაიარა, როგორც წინად. ყველა სოფელი აწინდელ მოძრაობის გამო გართულია სულ სხვა საქმეებში. ან დროს გასატარებლად ვისა სცალიან! ზოგ სოფელს ყაზახ-რუსთა ეკზეკუცია უყენიათ. დრაგუნები და ყაზახები გაღმა-გამოღმა სოფლებში გაჰგზავნეს. გამოღმა აქამომდე ს. კონდოლში იდგნენ ეკზეკუცია. 20 აპრილს ახსნეს და აქედან ვაჩნაძიან-კალაურში წავიდნენ. მეორე დღეს მთელი ვაჩნაძიანი, დიდი და პატარა, მომრიგებელ შუამავალსა და მაზრის უფროსთან წავიდნენ. სთხოვდნენ, ეკზეკუცია მოგვაშორეთო. ესა სთხოვეს მარტო გლეხებმა სხვა წოდების დაუხმარებლად. წარსულ დღესასწაულებში არც კვლავინდებურად მხიარულობა ჰქონდათ. მცხოვრებნი თავს იკავებდნენ, ცდილობდნენ არაფერი უწესოება არ მომხდარიყო. მართლაც ამ დღეებმა ისე ჩაიარა, რომ ჩხუბი, დაჭრა და კაცის კვლა არ მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ს. ენისელში შემთხვევით კაცის მოკვლას. 19 აპრილს ენისელში მცხოვრები იორდანე ბასილაშვილი, სანადიროდ წასული, ხრამში ჩასაფრებოდა ნადირს. ამავე დროს სხვა მონადირეს ნადირი ჰგონებია და თოფი უსროლია. თოფ-ნაკრავს იქვე სული დაულევია.

ნურავინ იფიქრებს კახეთში ჯარის გაჩენამ სრულიად მოსპო გლეხთა მოძრაობა. ზოგი სოფლის კანცელარია დღესაც არ მოქმედებს, არც გლეხები მიდიან რამე საქმისთვის სოფლის მოხელეებთან. ბევრგან ტყის მცველები გამოაძევეს და გაღმა მხრიდან ხომ ერთ ხანად ტყის გამგეც დაითხოვეს. ს. შაშიანში მიწის მზომელი თიმურაზოვი მივიდა სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად: ადგილი უნდა გაემიჯნა აზნ. რცხილაძეებისათვის, მაგრამ სოფელმა უკან დააბრუნა. ჩასაბარებელი ადგილი სოფელს ეკუთვნის და ძალ

ფელეტონი

ინგლისი

რას წარმოადგენს ინგლისის პოლიტიკური წეს-წყობილება? ამის პასუხს თუ ინგლისის ძირითად კანონებში და დაწერილ კონსტიტუციაში დავუწყებთ ძებნას, ნათლად ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენთ ამ საგანს. ინგლისი ის საკვირველი და საოცარი ქვეყანაა, რომელსაც ძირითადი კანონმდებლობა და სისტემატიურად შედგენილი კონსტიტუცია არა აქვს, მაგრამ წესი და ადამიანური ცხოვრება-კი არ აკლია. ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრების საფუძვლად დადებული საკანონმდებლო აქტები და დებულებანი მრავალ საუკუნოებით არიან შემუშავებულ-შექმნილნი და ამიტომ ერთ რომელიმე ეპოქას არ ეკუთვნიან. Magna Charta libertatum 1215 წ. პეტიცია უფლებების შესახებ 1628 წ. Nabeas-Corpus-Act 1679 წ. უფლებების დეკლარაცია 1689 წ. Act of Settlement 1701 და 1705 წ. Act of Union ინგლისსა და შოტლანდიის შორის 1707 წ., დიდ ბრიტანიისა და ირლანდიის საკავშირო აქტი 1800 წ. და არჩევნების რეფორმები 1832 წ., 1867 და 1884 წ. აი ინგლისის პოლიტიკური წეს-წყობილების ნაწერი ძირითადი კანონები, მაგრამ მარტო ესენი-კი არ შეადგენენ ინგლისის კონსტიტუციის საფუძველს. ამ ნაწერ კანონმდებლობაში ტყვილად დაუწყებდით ძებნას იმისთანა კითხვებს, როგორიც, მაგალითად, მინისტრების პასუხის გებაა, საზოგადოების, ლორდთა პალატის და მეფის უფლებების საზღვრები და სხვა. ინგლისში საკონსტიტუციო კითხვების გადაწყვეტას ხშირად კანონზედ-კი არა, პარლამენტის ჩვეულებებზედ ამყარებენ ხოლმე.

* * *

გერმანელთა იურისტი ბლუნჩლი ამბობს: „არის მონარქიები და მონარქიული რესპუბლიკებიო. მაგ., ტიერისა და მაკ-მაჰონის დროს საფრანგეთის რესპუბლიკას მონარქიული ხასიათი ჰქონდა. არის აგრეთვე დემოკრატია და დემოკრატიული მონარქია. ამ უკანასკნელის მაგალითს ინგლისი წარმოადგენს"-ო.

1871 წ. ტიერს საფრანგეთი „უმონარქო მონარქიათ" უნდოდა შეექნა. ინგლისი სწორედ წინააღმდეგ მაგალითს წარმოადგენს ე. ი. მონარქიან რესპუბლიკას. გიორგი III (1760—1820 წ.) უკანასკნელი მეფე იყო ინგლისში, რომელმაც ინგლისის ცხოვრებას და პოლიტიკას თავისებური ხასიათი დასდო. ამასაც ქრთამებითა და უკანონო ქცევით შაიდწია, თორემ კანონიერი მოქმედებით სახელმწიფო საქმეებზე ასეთ ზედგავლენას ვერასოდეს ვერ იქონიებდა. მიუხედავათ ლორდთა პალატის მოქრთამვისა და ათასგვარ ხრიკებისა, მისი პირადი გავლენაც სახელმწიფო საქმეებზე დიდხანს მაინც ვერ გაგრძელდა. მეფის უკანონო და უაზრო მოქმედებამ საზოგადოების მხრივ დიდი რეაქცია გამოიწვია, რამაც რადიკალური პარტია წარმოშობა ინგლისში. 1782 წ. მეფე გიორგი იძულებული შეიქნა მინისტრათ ჩარლს ფოკსი დაენიშნა, თუმცა იმასაც და იმის მხლებლებსაც ფოკსი საშინლად ეჯავრებოდათ. გიორგის შემდეგ სახელმწიფოს საქმეებში მეფის ჩარევა მოსაგონებელ საგნად გადაიქცა და მეფის ძალა იმ სიმბოლოდ შეიქნა, რომელიც ინგლისელს უყვარდა და ეთაყვანებოდა მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მეფე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ჩარეულიყო. მოხუცებულობის დროს დედოფალმა ვიქტორიამ რომ ოფიციალურ პროცესიებსა და წვეულებებს თავი დაანება და დიდი ხანი აღარსად სჩანდა, ზოგიერთი გაზეთები პირდაპირ უსაყვედურებდნენ: „მაშ რასაშა იღებს ვიქტორია ჯამაგირს, თუ კი თავის მოვალეობას არ ასრულებსო". აქედან ნათლად სჩანს, რომ ინგლისის მეფე მარტო სახელით ითვლება სახელმწიფოს თავად და ამიტომ სამინისტრომ რაც უნდა ჩაიდინოს, პასუხს მინისტრები აგებენ ხოლმე და არა მეფე. ნამდვილად მინისტრები კი არ ექვემდებარებიან მეფეს, მეფე ემორჩილება მათ.

ამ უკანასკნელ აზრის დასამტკიცებლად და დასასაბუთებლად საკმარისია ორი შემთხვევა გაგიხსენოთ მხოლოდ. პირველი მაგალითი 1839 წელს მოხდა: ახალგაზდა დედოფალი ვიქტორია ტახტზედ რომ ავიდა, იმ ხანებში მელბურნის ლიბერალურმა სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მელბურნი ახალგაზდა დედოფლის დიდი მეგობარი იყო, საზოგადოების ნდობა დაჰკარგა. საზოგადოების უნდობლობა, რასაკვირველია, ძირს უთხრიდა სამინისტროს და მელბურნის მინისტრობას სიცოცხლე უმოკლებოდა. ბოლოს 1839 წ. 9 აპრილს კონსერვატიულ პარტიის წინამძღოლმა რობერტ პილმა მოსთხოვა სამინისტროს, პალატას დაჰკითხებოდა—სასურველი იყო კიდევ მისი სამინისტრო თუ არა. მელბურნი იძულებული იყო მოწინააღმდეგეს მოთხოვნილება ესრულებინა, თუმცა გამარჯვების იმედი კი სრულიად არა ჰქონდა. მართლაც მარტო ხუთმა კაცმა გამოუცხადა ნდობა. ამის შემდეგ მინისტრად დარჩენა მელბურნისთვის, რასაკვირველია, უკვლად შეუძლებელი იყო.

19 წლის დედოფალმა ვიქტორიამ რობერტ პილი დაიბარა და გულახდილად გამოუცხადა—მართალია ძლიან ვწუხვარ მელბურნის სამინისტროს გადაყენების გამო, მაგრამ იძულებული ვარ კონსტიტუციასა და პარლამენტის ჩვეულებას დავემორჩილო და ამიტომ შენ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელს, სამინისტროს შედგენას გავალებო.

პილმა წინადადება მიიღო და შეუდგა კიდევ სამინისტროს შედგენას. საქმე თითქმის გათავებული იყო სრულიად, როცა მომავალმა მინისტრმა შემთხვევით გაიგო, რომ დედოფლის ორი კამერფრეილინა უწინდელ მინისტრების ახლო ნათესავები თურმე ყოფილიყვნენ. პილმა კამერფრეილინების დათხოვნა-გადაყენება მოსთხოვა დედოფალს. დედოფალმა ვერ გაიგო მინისტრის მოთხოვნილება, იმას ეგონა ყველა მხლებლების დათხოვნას მთხოვენო და კონსტიტუციის მცოდნე რონსელის რჩევით შემდეგი უპასუხა: „არ შემიძლიან იმისთანა საქციელზე დავეთანხმო, რომელიც კონსტიტუციას არ ეთანხმება და ჩემ პირად გრძნობას ეწინააღმდეგებაო". პილმა მინისტრობაზე უარი განაცხადა და რაკი იმის მეტს პალატის ნდობა არავის ჰქონდა, მელბურნი იძულებული შეიქნა მინისტრობა ისევ თითონ ეკისრნა. ამ ინციდენტის გამო მელბურნის კაბინეტმა გამოაცხადა: სასახლის მთავარ მოხელეებათ პარლამენტის წევრები სამინისტროს ნებით ინიშნებიან, მაგრამ მინისტრების ეს უფლება დედოფლის კამერ-ფრეილინებს კი არ შეეხება, ჩვენის აზრითაო".

ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისში. ლიბერალების ერთი ნაწილი გადაჭრით ამბობდა: ამგვარ შემთხვევებში დედოფლის ანუ მეფის გრძნობები მხედველობაში მისაღები არ არის და სამინისტრო ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ რამეს ურჩევს მეფეს, უკანასკნელი ვალდებულია სამინისტროს დაემორჩილოსო. რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ხალხი ამ შემთხვევას, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ რობერტ პილი მართალი იყო. რასაკვირველია, დედოფალსაც ჰყავდა თავისი მომხრე-მოსარჩლეები, მაგრამ საზოგადო აზრი კი მაინც მელბურნის კაბინეტის წინააღმდეგი იყო, მით უმეტეს, რომ მელბურნი კამერფრეილინების კაბებს ამოეფარა და ქვეყნის სათავეში მეორედ ისე ჩადგა. ახალ არჩევნებზედ პილმა სავსებით გაიმარჯვა და სამინისტროც იმას შერჩა. საკვირველია, რომ პილი, მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიული პარტიის წინამძღოლი იყო, მინისტრობის დროს რეფორმების ისეთი მომხრე გამოდგა, რომ რადიკალებსაც კი გადააჭარბა). ამის შემდეგ ინგლისში კონსტიტუციის ჩვეულებათ დარჩა, რომ ახალი სამინისტროს მოთავე სასახლეში არასასურველ პირებს დაუყონებლივ სამსახურიდან ითხოვს ხოლმე.

ეს შემთხვევა უბრალოა და ზოგს შეიძლება სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ცხადად კი გვიმტკიცებს ინგლისელების სიყვარულს კონსტიტუციისა და ხალხის წარმომადგენლობისადმი ამ, პირველი შეხედვით, უბრალო, საქმეს ინგლისელები ისე მოეპყრნენ, რომ მეფისა და ქვეყნის შორის ამ ნიადაგზედ უთანხმოების გამორკვევა სამუდამოთ შეუძლებელი გახადეს.

მეორე მაგალითი ტრანსვაალის უკანასკნელი ომია. ინგლისის ტახტი გიორგი მესამის უკანონო ქცევით, გიორგის მამის უზნეობით და ყოვლად უვარგისობით და ვილიამ IV უხასიათობით ძალიან შერყეული და შერცხვენილი იყო, როცა ტახტზე ახალგაზდა ვიქტორია უნდა ასულიყო. მიუხედავად ყველა ამისა, ვიქტორიამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იმისი სამოცი წლის მეფობა თუ კერძო ცხოვრება ჩირქწაუცხებელი იყო და რასაკვირველია, რომ სიბერის დროს შერცხვენა არ უნდოდა და ტრანსვაალის ომზედ არა სთანხმდებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ომის ღმერთი სანდო არასოდეს არა ყოფილა და ეხლაც შეიძლებოდა ეღალატნა მისთვის. მოხუცი დედოფალი ჯიუტობდა კიდეც, მაგრამ აქეც ქედი მოახრევინეს და დედოფლის სახელი და ნება-სურვილი პარლამენტს დაუმორჩილეს.

ინგლისის კონსტიტუციის ძალით მეფე ქვეყნის ხელმწიფების ერთ ნაწილს შეადგენს და მეორე ნაწილი კი პარლამენტია (ლორდთა და საზოგადოებათა პალატა). ამიტომ ინგლისის მეფესაც პარლამენტთან ერთად საკანონმდებლო უფლებები აქვს მინიჭებული; იწვევს პარლამენტს და თუ საჭიროა, ითხოვს; ყოველი კანონმდებლობა ორთავე პალატის მიერაც რომ იყოს მიღებული, მაინც, თუ მეფემ არ დაამტკიცა, ძალას ვერ მოიპოვებს. მასვე ეკუთვნის საკანონმდებლო veto-ს უფლება. მაგრამ ნამდვილად, ფაქტიურად ყველა ეს ფორმალური მხარეა და, როგორც ზევითაც ვსთქვით, სახელმწიფო საქმეებში ინგლისის მეფეს არავითარი ძალა არა აქვს. მეფე მინისტრების პასიური იარაღია მხოლოდ და მინისტრები, როგორც უმეტესობის წარმომადგენელნი, უმეტესობას ემსახურებიან. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არც ერთ მეფეს არ უთქვამს რომელიმე კანონმდებლობის დამტკიცებაზედ უარი. veto-ს უფლებით ძალიან იშვიათად სარგებლობს ინგლისის მეფე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო აქტი რომელსამე კოლონიას შეეხება და შეუძლიან რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან შეტაკება გამოიწვიოს. ამ შემთხვევებშიც თავის უფლებით მინისტრების რჩევით სარგებლობს ხოლმე მეფე. საფრანგეთისა და შეერთებული რესპუბლიკების პრეზიდენტისაგან ინგლისის მეფე მხოლოდ იმითი განსხვავდება, რომ მეფე ინგლისში ამორჩეული არ არის (მემკვიდრეობით ადის ტახტზედ) და, რასაკვირველია, სი[illegible]კვდილამდის მეფობს, როდესაც პრეზიდენტები კი ვადით არიან ხოლმე ამორჩეულნი. ინგლისის მეფე ნაციონალური ერთობის, ნაციის წარმომადგენელია მხოლოდ და ამ მოვალეობის აღსრულებისთვის პარლამენტი ცივილური ფურცლის ფორმით ჯამაგირს უნიშნავს თავის მეფეს და იმის საგვარეულოს.

1901 წელს საზოგადოების პალატაში ეხლანდელი მეფის, ედუარდ VII შემდეგი [illegible] წაიკითხეს: „მის უდიდებულესობას, ჰსურს [illegible] თავისი ვაჟი და ქალები უზრუნველ ჰყოს [illegible] საფერისი ჯამაგირით, აგრეთვე თავისი მეუღლე [illegible] თუ ვინიცობაა დაქვრივდა და რძალი აგრეთვე [illegible] დაქვრივდება შემდეგ, თავის ერთგულ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებას მიაქცევს და იმედი აქვს, რომ მეფის სიყვარულის გამო შესაფერ ღონისძიებას მიიღებენ". ყოველი ახ

მომრიგობას არ მივმართეთ მისთვის, რომ ჯერ თხოვნა გავგზავნეთ მთავრობასთან და იმის პასუხს ვუცდითო. ყველა სოფელში და მით უმეტეს იქ, სადაც ჯარია, ძალას ატანენ, გამოაჩინეთ სოფლის მავნე პირები, ე. ი. აგიტატორებიო.

კახეთიდან გლეხთა მოძრაობა ნელ-ნელა მთისკენ მიმდინარეობს. სამებობის დღეს ს. ალვანში შეიკრიბა მთელი სოფელი თავის საჭირ-ვარამო დროის შესაფერ კითხვებზე მოსალაპარაკებლად და მათაც მოთხოვნილების შემუშავება დაადგინეს. ს. პანკისში წარსულ კვირეებში მისულა მაზრის უფროსი ყაზახებით და გამოუცხადებია, უწესოებას ნუ მოახდენთო. ბარში აღარ დგებიან და ყველანი შინ, სახლისკენ, მიეშურებიან...

ერწოში მომხდარ შეტაკების შესახებ პეტერბურგის სააგენტოს გადაუცია გაზეთებისთვის, რომ სოფ. თოლათ.-სოფელში ყაზახებმა შეკრებილ ხალხს აგიტატორების გაცემა სთხოვეს, მაგრამ ხალხი კეტებით ეცა ყაზახებს და ჯორჯელ ესროლეს აფიცერსაო. ს. თოლათ-სოფელში ყრილობისავე დროს მივიდნენ ბოქაული ტერ-გრიქუროვი და პოდესაული ლობოვი ყაზახებით. სთხოვეს, აგიტატორები გამოაჩინეთ და დაიშალენითო. მაგრამ ამაოდ. მაშინ პოდესაული მივიდა ახლოს, რათა ისევ კეთილად ეჩხია, მაგრამ გლეხებმა კეტები აიმაღლეს და ერთმა მძიმედ დაარტყა ლობოვს კეფაში. მხოლოდ ამის შემდეგ ყაზახი-რუსები ეცნენ მათრახებით და რაკი ხალხი მედგრად წავიდა წინ, მაშინ-კი ხმლები იშიშვლესო... ეს ცნობები, როგორც ჰხედავთ, ცალ-მხრივია. კიდევ.

რაჭა. გლეხთა მოძრაობა თანდათან ძლიერდება ქვემო რაჭაში. ყოველმა სოფელმა თავის მოსამართლე გაიჩინა. (ქვემო რაჭის სასამართლოებში არავითარი საქმე აღარ ირჩევა, პოლიცია და მოსამართლეები თითქმის უსაქმურად სხედან.) პირველ აპრილს გაიფიცნენ ონიდან მოკიდებული ქუთაისამდე საფოსტო გზატკეცილის მოსამსახურე ქუჩრები. მათ ითხოვეს ჯამაგირის მომატება და კიდევ სხვა რამეები.

ზოგ-ზოგ სოფელში გლეხთა მოძრაობამ კინაღამ ცუდი ხასიათი მიიღო. დაიწვა პატარა ონის კანცელარია, დაიწვა ბუგეულის კანცელარია, გაიტრუსა ცეცხლის ალში ტოლის კანცელარია. ასეთ ცუდ მოქმედებას, როგორც ეტყობა, თანდათან ბოლო ელება. ამას წინად მოჰკლეს პატარა ონის მამასახლისი ბუაძე. (გვეგონა მიზეზი გლეხთა მოძრაობა იყო. მაგრამ, როგორც გავიგეთ, გლეხთა მოძრაობა აქ სულ არაფერს შუაში ყოფილა.) ბუაძე მოუკლავთ უბრალო შელაპარაკების დროს.

3 აპრილს აქ მოვიდა 70 ყაზახ-რუსი თავის აფიცრით. როგორც ამბობენ, კიდევ ელიან. **კესარიაშვილი.**

დ. ახალ-სენაკი. აქ ყოველ დღე ჩამოჰყავთ სოფლებში დატუსაღებულნი. ამ მოკლე დროში გაგზავნეს ერთი პარტია 70 კაცი. ამ დღეებში სხვებს გაგზავნიან. ამ დაპატიმრების გამო დამოკიდებულება მემამულეთა და გლეხთა შორის უფრო და უფრო მწვავდება. ზოგიერთ სოფლებში შეტაკება ხდება. სოფლებში, მიუხედავად სასტიკ აკრძალვისა, მიტინგები იმართება, რომელსაც ესწრება რამდენიმე ქალი და კაცი. ამ დღეებში დაატუსაღეს და ადგილობრივ ციხეში ჩასვეს ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტი ბიქტორ თევზაია. **პაპილა**

სოფელ ისხმეთიდან (შორაპნის მაზრა) „კავ.“-ს სწერენ: „21 აპრილს ისხმეტის მცხოვრებთ კოცატიძემ და ნამგლაძემ განიზრახეს აზნაურის გურგენიძის მოკვლა. მეორე დღეს, 22 აპრილს, ბელაგორის ბოქაულმა ადგილობრივ გაგზავნა ყაზახ-რუსები და საერობო დარაჯები, რომელთაც დაუპატიმრებიათ დამნაშავენი. მაშინ შეიარაღებული ხალხი დაეცა მათ, რათა დაებრუნებინა დაპატიმრებულნი, ამასთან ასტყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქმნა ოცამდე გლეხი“.

„ჩერ. ვეს.“ სწერს: „ამ ბოლო დროს რიონის რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი ჰგზავნის ქუთაისში გლეხთა მოძრაობის გამო დაპატიმრებულთა მთელ დასებს. თითო დასში 50—60 კაცია. აპატიმრებენ ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში“.

ახალი ამბავი

— კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრის ბ-ნ მიცკევიჩის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს პროგრამა **ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის** დახვედრისა ტფილისში. ნამესტნიკი ჩამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზედ. ეს ამბავი ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორმა აცნობა ქალაქის მოურავს და სთხოვა მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში.

— ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ჩამოსულ **სამხედრო მემანქანენი და მათი თანაშემწენი** გაგზავნეს ტფილისის, ბათუმის, ბაქოს, განჯის, სამტრედიის, ხაშურის და გუმბრის დეპოებში. მათთვის ბინად უნდა მიეცათ რკინის გზის სახლები. რადგან მოსამსახურეთა დათხოვნა და მათი დაყენება საჩქაროდ ვერ მოხერხდა, ამიტომ გაიგზავნა საცხოვრებელი ვაგონები.

— **ტფილისში რაღაც ახალი სენი გაჩნდა,** რომელსაც სახელად მენინგიტს ეძახიან. ეს სენი ეხლა ხან გადმოვიდა ევროპიდან რუსეთში, ხოლო იქიდან ჩვენში. მკურნალობამ ჯერ-ჯერობით არაფერი იცის ამ სენისა, ეს-კია არავინ რჩება და გადამდებიც არის. ქალაქში ორის თვის განმავლობაში ამ ახალი სენით 30 კაცი გახდა ავად. ეს ახალი სენი ტვინის ავადმყოფობაა. ქალაქის სამკურნალო საბჭომ განკარგულება მოახდინა, რომ შესაფერი ზომები იქნას მიღებული იმ სახლებში, სადაც სენი ჩნდება.

— **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** გამგეობას მიუწერია დიდრონ სადგურების დეპოს უფროსებისათვის: უკვე ჩამოვიდა რკინის გზაზედ სამუშაოდ ორმოცდა ათი ბრიგადა სამხედრო მემანქანე და მათი თანაშემწე და ორმოცდა ათ ბრიგადასაც ამ დღეებში მოველით, ამისათვის დღიურ სახელოსნოს ზეინკლები რომელნიც მემანქანის თანაშემწეთ დადიოდნენ და აგრეთვე მეორე და პირველი განყოფილების მემანქანის თანაშემწენი აღარონ არა მემანქანეთ, არამედ თანაშემწეებად.

— უკვე ვწერდით, რომ **ტრამვაის მეთვალ-ყურე კომისიამ** უსახელო საზოგადოება დააჯარიმა მიმოსვლის შეჩერების გამო. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს დადგენილება და საჭიროდ იცნო ჯარიმის დადებამდე გამოირკვეს, კომისიის მეცადინეობით რამდენად შესაძლებელია მსახურთა მოთხოვნილების ასრულება და საზოგადოებას შეუძლიან თუ არა განაახლოს ტრამვაის მოძრაობა. თუ საზოგადოების მდგომარეობა ფორსმაჟორად არ იქნება აღიარებული, მაშინ გადახდეს საზოგადოებას ჯარიმა დღიდან მოძრაობის შეწყვეტისა განახლების დღემდე.

— წუხელ, 26 აპრილს, სამეურნეო საზოგადოებაში უნდა მომხდარიყო კრება **ბ-ნ ფირალოვის მოხსენების განსახილველად.** ეს კრება ვეღარ შესდგა და სხვა დროისთვის გადაიდო.

— დღეს, 27 აპრილს, ავლაბარში, ქალაქის საავადმყოფოს (კახეთის ქუჩაზე) სადგომში, **თავი უნდა მოიყარონ იმ სახლის პატრონებმა,** რომელთაც ქალაქისაგან იჯარით აქვთ აღებული მიწები და ზედ, აგერ რამდენიმე წელიწადია, სახლები აუშენებიათ. უნდა მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ რა საშუალებას მიმართონ, რომ ქალაქმა ხსენებული იჯარა მოსპოს და მიწები მათ საკუთრებათ აღიაროს. ზოგიერთს 30 წელიწადზე მეტი იქნება, რაც პატარა ნაჭერ მიწაში ქოხი ჩაუდგამს და ამდენის ხნის განმავლობაში საიჯარო უკლებლივ უხდის ქალაქს. გადახდილ ფულის ჯამი რომ შეგროვდეს, დღეს ორ იმდენ მიწას იყიდის, რაც მათ ამ ჟამად უჭირავთ. კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

— ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული მეტრიე რამდენი ხანია ჩამოვიდა ტფილისში, მაგრამ აქამდე მოლაპარაკება არა ჰქონია მოსამსახურეებთან. გუშინ **კონდუქტორებს და ვატმანებს** კრება ჰქონდათ. ამ კრებაზე განუმეორეს თავიანთ წარმომადგენელთ, ყოველივე ღონე იხმარონ, რომ საზოგადოებამ მათი მოთხოვნილებანი შეასრულოს.

— **ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებას** 25 აპრილს ჩვეულებრივ დიდძალი ხალხი დაესწრო. ქალაქის მოურავმა აუკრძალა ხალხს საბჭოს დარბაზში შესვლა. ამიტომ მაღლა ქანდარა ძალზედ გაიჭედა. პირველად საბჭომ რამდენიმე საგანი განიხილა: სხვათა შორის, მიიღო წინადადება გამგეობისა ნამესტნიკის დასახვედრად ფულის გადადების შესახებ. შემდეგ საბჭოს უნდა განეხილა საქმე ტრამვაის მოძრაობის განახლების შესახებ, მაგრამ ამ დროს ხმ. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, ხალხს კრებაზე დასწრება უნდა და შემოუშვით რამდენიც დაეტიოსო. ქალაქის მოურავი არ დასთანხმდა. ამ დროს ქანდრიდან გაისმა პროტესტის ხმები. მოურავი აღელვებული წამოდგა და დახურა კრება.

— **სად. კარაკლისი.** 25 აპრილს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, მე-138 ვერსზე, ჩამოწვა კლდე, რამაც შეაჩერა მატარებლების მიმოსვლა. ინჟინრების გამოკვლევით, ამ ადგილას კიდევ დიდი კლდეა ჩამოსაწოლი. ამიტომ წინააღმდეგნი არიან მატარებლების ღამე მიმოსვლისა.

— გუშინ რამდენიმე კაცი მივიდა ტფ. ქალაქის გამგეობაში და განაცხადა: ამ ბოლო დროს **მებაღეები და მებოსტნეები** თავიანთ ნაწარმოებს აღარ უდებენ ხელში ჩარჩებს, თვითონ მოაქვთ ქალაქში და იაფად ჰყიდიან. ჩარჩ-ვაჭრებს ეს არ ეპიტნიკათ, ამიტომ ყოველსავე ღონეს ხმარობენ, წინააღმდეგობა გაუწიონ მებაღე-მებოსტნეებს. წვრილმანი ჩარჩები ამასაც არა სჯერდებიან და თუ დაინახეს, რომ ვინმე მებაღეთაგან ყიდულობს სანოვაგეს, ხელიდან სტაცებენ და ფეხ-ქვეშ სთელავენო. მცხოვრებნი სთხოვენ გამგეობას იღონოს რამ ჩარჩების წინააღმდეგ.

— გუშინ, 26 აპრილისთვის, დილით 11 საათზედ, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით დანიშნული იყო სხდომა მოსალაპარაკებლად და შესათანხმებლად ტრამვაის დირექციის წარმომადგენლებისა და ხოსამსახურეთა დეპუტატებისა. რადგან არც დირექტორი და არც დეპუტატები არ გამოცხადდნენ, სხდომა არ შედგა.

— დღეს, 27 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დაიწყება ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა კერძო თათბირი.**

— კვირას, 24 აპრილს, მდინარე იორში წყლის სიდიდის გამო გადაბრუნდა ორი დილიჟანი, სიღნაღ საგარეჯოდან მომავალი. ხალხი მშვიდობიანად გადარჩა. დაიხრჩო ერთი ცხენი.

— ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ მღვდელმა ეპიფანე კალანდარიშვილმა მეთვალყურის თანამდებობას თავი დაანება.

— ტფ. ქალაქის „მამები“ რომ განაპირა უბნებს ყურადღებას არ აქცევენ, ყველასათვის აშკარაა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ [illegible] თელავის ქუჩის მცხოვრებლებმა [illegible] სთხოვეს ქალაქის „მამებს“ [illegible] ნათ ეს ქუჩა, მაგრამ ამაოდ. განაპირა უბნებისათვის იმათ არა სცალიანთ, ისინი აქცევენ ყურადღებას უფრო იმ ქუჩებს, სადაც თვით ქალაქის „მამები“ [illegible]. ზემოხსენებულ ქუჩის მცხოვრებნი ისეთ [illegible] მდგომარეობაში არიან ქუჩის უვარგისობით, რომ იძულებულნი არიან მიატოვონ სახლ-კარი და გადავიდნენ სხვაგან. მოკირწყლას ვინ სჩივის, ამ ავდრებში ისე დაიხრამა მთელი ქუჩა, ისეთი ორმოები გაკეთდა და გუბეები დადგა, რომ თუ ივლისამდე გაშრა და ხალხმა არ უსწრო, კიდევ კარგია. მათ უფრო საშწუხაროთ „მამების“ ასეთი გულგრილობა, რომ მურაშკოს სახალხო თეატრი ამ ქუჩაზეა და ყოველთვის აუარებელ ხალხს უხდება აქ სიარული. ვისაც არა სჯერა, მობძანდეს და თავის თვალით იხილოს, თუ ნამდვილ წარღვნისაგან წალეკილს არა-მარჯს არ მოაგონებს.

— გუბერნატორი შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ მამუკას სოფელში მცხოვრებნი კიდევ თვლისებენ ქალაქის მიწებს თუ არა და რამდენად საჭიროა ზომების მიღება მათ საწინააღმდეგოთ. ქალაქის გამგეობას თვით უთხოვნია ადმინისტრაციის დახმარება. გამგეობამ დაადგინა, შეატყობინოს, რომ ამ ჟამად არ არის საჭირო საჩქარო საწინააღმდეგო ზომების მიღება.

— „სევერნი კავკასის“ სასტუმროში მცხოვრები სპარსელი გენერალ-გუბერნატორი იდხან მუზურნიხან ახმედ-ოღლი მივიდა პოლიციის მე-9 ნაწილში და გამოაცხადა, რომ სასტუმროს ნომერში ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ჯიბიდან 15,000 მან. ქაღალდის ფული ამომაცალაო. ეჭვი ქურდობაში მიიტანეს სასტუმროს პატრონ აკოფიანცზე, მაგრამ გაჩხრეკის დროს არაფერი არ აღმოაჩნდა.

— ტფილისის მხატვრებმა (მალიარებმა) კრება გამართეს გუშინ, 26 აპრილს. კრებას დაესწრო ერთი პოლიციელი. მოითხოვა წასულიყო დარბაზიდან. კრებამ დაასრულა საქმეების განხილვა.

ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა საკანდიდატო პირობები ქალაქში ნივთით გაჭრობისა და ქუჩების განათების შესახებ.

— სად. ხაშური. 24 აპრილს, საღამოს 9 საათზე ვიღაც უცნობმა ხუთჯერ დაახალა რევოლვერი რკინის გზის მოხელეს მახალდვარიანცს, რომელიც სასიკვდილოდ არის დაჭრილი.

— ნიკიტინის ცირკი 26 აპრილს ბაქოს გაემგზავრა.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს თვითმმართველობის მსახურთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიას შეიმუშაოს პროექტი ინსტრუქციისა ქალაქის ქუჩების განათების მუშების სახელმძღვანელოდ და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ტფილისის მედროგეებს, ამოირჩიონ მამასახლისი, რომელმაც წესიერება უნდა დაიცვას ტფილისის სავაჭრო სადგურის წინ, რადგანაც ყოველ დღე იმდენი მედროგე აწყდება, რომ უწესოება ხდება.

დი მეფე ინგლისისა ამ ფორმით მიჰმართავს ხოლმე პარლამენტს. პარლამენტი დაუყოვნებლივ კომისიას ირჩევს, და ცივილურ ფურცლის შემუშავებას ავალებს. კონსტიტუციონურ ჩვეულებით ამ კომისიაში მარტო უმეტესობა კი არ ირჩევს წარმომადგენელს, ირჩევს აგრეთვე უმცირესობა და უმცირესობის სხვა-და-სხვა ჯგუფებიც კი. ამას იმიტომ სჩადიან, რომ საზოგადო, საერთო ფულის ხარჯვაში მონაწილეობა ყველას მიაღებინონ.

ედუარდ VII-ს ცივილური ფურცელი 470,000 გირვ. სტ. უდრის და ასე დანაწილებული: ჯიბის ფული ანუ კერძო კასსა 100,000 გირვ. სტ. (ამ თანხიდან მეფე და დედოფალი შემოსავლის-დაკლებაზე გაწერილ ხარჯს სხვა ქვეშევრდომებთან ერთად და თანასწორად იხდიან); სასახლეების შენახვა 143,000 გირვ. სტ.; სასახლეების განახლება-შეკეთება 20,000 გირ. სტ.; ჯამაგირები და პენსიები მეფის მოხელეებსა და მოსამსახურეებს 125,800 გირ.; სხვა-და-სხვა შესაწირავი და ღარიბთა გასაკითხავად 13,200 გირვ. და მოულოდნელ ხარჯისათვის 8,000 გირვ. სტ.

ამის გარდა პარლამენტმა 73,000 გირვ. სტ. მეფის შვილებს დაუნიშნა და 70,000 გირ. მეფის საგვარეულოს ქალებს. საერთოდ მეფისა და მისი საგვარეულოს შენახვა ინგლისს 613,000 გირვ. სტ. უჯდება. (დაახლოვებით ექვს მილიონ მანეთამდის). სანაცვლოდ, მეფის საგვარეულო თავის მამულების შემოსავალს ხაზინას უთმობს. გიორგი I დროს ეს შემოსავალი ერთ მილიონ გირვ. სტ. უდრიდა და მეფის სასარგებლოდ მიდიოდა. გიორგი III ხაზინას დაუთმო ეს შემოსავალი და ცივილური ფურცლით 900,000 გ. სტ. დაუნიშნა. იმავე პირობით მისი შვილი ვილიამი 510,000 გ. სტ. იღებდა და ვიქტორია 385,000 გ. სტ. ბოლოს დროს, როგორც ზევითაც დავინახეთ, მეფეს ჯამაგირი მოუმატეს. ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში გამოაცხადა: 613,000 გირვ. სტერლინგს მეფის მამულების შემოსავალი რომ გამოვაკლოთ, დარჩება 33,000 გ. სტერლინგით. ისე რომ ინგლისს დაახლოვებით 300,000 მანეთი უჯდება მეფისა და მისი საგვარეულოს შენახვა.

ი. პ—ვი.

წითელი სიცილი

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევი ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეცამეტე.*)

ყველგან ცემა-ტყეპა, აღსავსე სისხლით და უაზრობით. საკმარისია სულ უბრალო მიზეზი რომ გამოიწვიოს ველური გასამართლება. იწევა დანების, ქვების, კეტების ტრიალი და განურჩევლად ჰხოცავენ, ვინც კი მოხვდებათ— წითელი სისხლი მოიბრძვის გარედ და უხვად სჩქეფს.

ისინი იყვნენ ექვსნი, ის გლეხი კაცები და მიჰყავდა იგინი სამ თოფიან სალდათს. თავიანთ უბრალო გლეხურ ტანისამოსში ისინი მიემსგავსებოდნენ ველურებს; თავიანთ საკვირველ პირისახეებით, თითქოს თიხიდან შეთითხნილით და მორთულ მატყლით, თმის მაგიერ ამ მდიდარ ქალაქის ქუჩებში, მიმავალნი, დარაჯებით შემორტყმულნი, — ისინი მიემსგავსებოდნენ ძველ დროის მონებს. წინ მიდიოდა მაღალი უწვერულვაშო ბიჭი კისერ დაგრძელებული, რომელზედაც ამართულიყო პატარა თავი. ის დახრილიყო წინ და იყურებოდა ძირს ისე ჩამტერებული, თითქოს ლამობს თვით დედამიწის გულის სიღრმეში ჩახედვასაო.

სულ ბოლოს მიდიოდა დაბალ-დაბალი წვეროსანი, ხანში შესული კაცი; მას არ უნდოდა წინააღმდეგობის გაწევა, იმის თვალებს არ ემჩნეოდა არავითარი ნატამალი აზრისა, მაგრამ მიწა იზიდავდა იმის ფეხებს, იჭრობდა ზედ და არ უშვებდა მას—და ის მიდიოდა თავ-აღებული, თითქოს ძლიერი ქარის წინააღმდეგ. ყოველ ნაბიჯის შემდეგ სალდათი უბიძგებდა მას კონდახით ზურგიდან და როდესაც ის ცალ ფეხს აცილებდა დედამიწას და თრთოლვით გადასდგამდა ხოლმე წინ, ამ დროს მეორეთი მაგრა ეკვრებოდა ხოლმე მიწას. სალდათების სახეებს ნაღვლისა და ბრაზის ბეჭედი ესვა. ეტყობოდათ, დიდი ხანია, რაცა ეს მიდიან, ემჩნეოდათ დაღალობა და უგულობა თოფების ტარებაში და თვით სიარულშიაც. თითქოს უაზრო ხანგრძლივმა და ნუმმა შეუპოვრობამ მიმავალ გლეხებისამ დაუხშო მათ ეს გაწვრთნილი ჭკუა და ვეღარ შეეგნოთ ის თუ სად ან რად მიდიან ისინი.

— სად მიგყავთ ეგენი?—ვკითხე ნაპირა სალდათს.

შეკრთა, შემომხედა და იმის სწრაფ, მოელვარე შეხედულობაში ისე ნათლად ვიგრძენი ხიშტი, თითქოს მას მოესწრო კიდეც ჩემის გულის გაგმირვა.

— მოშორდი!—სთქვა სალდათმა.—მოშორდი, თორემ...

ხანში შესულმა იგულა დრო და გაიქცა, გადირბინა ქუჩა და ჩაკუნტდა იქვე ბაღის მოაჯირთან, თითქოს იმალებაო. ნამდვილი პირუტყვი არ მოიქცეოდა ისე ტუტუცურად, ასე უგუნურად. სალდათი გაავდა. დავინახე როგორ მიუახლოვდა იგი, დაიღუნა, მოიგდო მარცხენა ხელში თოფი, მარჯვნით დაჩხაკუნა რბილად რაღაც პრტყელზე. და კვლავ შეკრთა და ხალხი. მოისმა სიცილი, კივილი...

ნარკვევი მეთოთხმეტე.

...პარტერის მეთერთმეტე რიგში. მარცხნივ და მარჯვნივ მჭიდროთ მოჰკრობია ვიღაცის ხელები და შორს ირგვლივ ბინდში ამოშვერილან უძრავი თავები, ოდნავ განათებული სცენიდან წითელ ფრად. მე ნელ-ნელა მაპყრობს საშინელება ამოდენა ხალხისა, დამწყვდეული ამ შეზღუდულ სივრცეში. ყველა მათგანი განრუმებული ისმენდა მას, რაც სცენაზე ხდებოდა, ან იქნება ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ, ალბად, იმიტომ, რომ ამდენი იყვნენ, თავიანთ სიჩუმეში მათი ხმაურობა უფრო ისმოდა, ვიდრე ხმა მსახიობთა. ისინი ახველებდნენ, ცხვირს იწმენდდნენ, შრიალებდნენ ტანსაცმელით და ფეხებით; მე მშვენივრად მესმოდა მათი ღრმა, აღშფოთებული სუნთქვა, რომელიც ათბობდა ჰაერს. ისინი იყვნენ სამი, რადგან ყოველს მათგან შეეძლო გადაქცეულიყო ცხედრად და ყველა მათგანს ჰქონდა უგუნური თავი. ამ დავარცხნილ კეფების სიღრმეში, რომელნიც დაყრნობილი იყვნენ თეთრ მაგარ საყელოებზედ, იგრძნობდი უგუნურების გრიგალს, რომელსაც შეეძლო ყოველს წამს აღმოხეთქილიყო და აბობოქრებულიყო.

მე შიშით გამიცივდა ხელები, როდესაც გავიფიქრე იმაზედ, თუ რამდენნი და რა საშიშნი არიან ისინი და რა მოშორებით ვარ გასასვლელ კარებზედ. რა წყნარად არიან ისინი; მაგრამ რომ დავიყვირო: „არიქა, ცეცხლი!“ ვიგრძენ რაღაც ყრუანტელი, ძლიერი სურვილი, რის მოგონებაც კვლავ მიყინავს ხელებს და მგვრის ჟრუანტელს ტანში. ვინ მიშლის წამოვდგე ზეზედ, მივმართო ხალხს და დავიყვირო:

— არიქა ცეცხლი! თავს უშველეთ, ცეცხლი!

თრთოლვა უგუნურებისა აიტაცებთ მათ. წამოხტებიან, იწყებენ ყვირილს, ღმუილს, ვით პირუტყვები, დაავიწყდებათ, რომ მათაც ჰყავთ ცოლები, დები, დედები, იწყებენ შფოთვას, ვით ერთბაშად დაბრმავებულნი, და ამ უგუნურობაში მიჰმართავენ ერთმანეთის ხრჩობას ამ თეთრ, სურნელოვან თითებით. გამოუშვებენ ბრწყინვალე სინათლეს და მთლად გაფითრებული ვინმე იწყებს სცენიდან ყვირილს, რომ სულ ყველაფერი რიგზეა, რომ ცეცხლი არსად არ არის და გიჟურად, მთრთოლვარეთ დაუკრავს მუსიკა. ისინი ვერაფერს ვერ შეისმენენ —ისინი განაგრძობენ ხრჩობას, ფეხებით ტკეპნიან, დედა-კაცების თავში ცემას, ეშმაკურ ნაწნავებით თრევას. დაგლეჯენ ერთმანეთს ყურებს, ცხვირებს, ტანისამოსს, გაატიტვლებენ ერთმანეთს და არ შერცხვებათ ამისი, რადგან ისინი უგონოები არიან. მათი მგრძნობიარე, ნაზი, ლამაზი ქალები, რომელთაც ისინი აღმერთებენ, იწყებენ წივილ-კივილს, ფართხალს მათ ფეხთა ქვეშ, ხვეწნას, საშველად, მოიცვენი მათის პატიოსნებისა, მაგრამ ისინი დაუწყებენ ბრაზიანად ცემას ლამაზ, მოღრეცილ სახეში და გაუშრებიან გასასვლელად. ისინი ყოველთვის კაცის მკვლელები არიან და მათი სიწყნარე, პატიოსნება არის სიწყნარე გამაძღარ ნადირისა, რომელიც ჰგრძნობს თავის თავს სიმშვიდობაში.

როდესაც ისინი ნახევარზე მეტს გარდაჰქმნიან ცხედრებად, მთრთოლვარე, დაგლეჯილ, დაფლეთილ გროვად შერცხვენილ ნადირებისა შეგროვდებიან კარებში, მოღიმარენი ცრუ ღიმილით, მაშინ გამოვალ სცენაზე და სიცილით ვეტყვი:

— ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ თქვენ მოჰკალით ჩემი ძმა.

ვეტყვი მათ სიცილით:

— ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ თქვენ მოჰკალით ჩემი ძმა.

ალბად, ხმამაღლა წამომცდა რამე, რადგან ჩემი მარჯვენა მეზობელი აწოკდა ადგილზე და მითხრა:

— წყნარად! ყურის გდებას მიშლით.

მესიამოვნა ეს და მომინდა მეხუმრა. მივიღე გამაფრთხილებელი, მკაცრი სახე და დავიძახე.

— რა იყო?—მკითხა მან უნდობლად—რათ მიყურებთ მაგრე.

— გევედრებით გაჩუმდით,—ჩაჩურჩულე—გესმით, რაღაცა ნაწვის სუნია. თეატრში ცეცხლი გაჩნდა.

მან მოიკრიბა იმდენი ძალა და კეთილგონიერება, რომ შეიკავა თავი ყვირილისაგან. სახე მთლად გაუფითრდა და თვალები გადმოუცვივდა, დიდრონები, ვით ხარის ბუშტები, მაგრამ მაინც არ დაიყვირა. იგი წყნარად ადგა, მე მადლობაც კი არ მითხრა და გაეშურა კარებისკენ თრთოლვით და ტორტმანით. ეშინოდა, რომ სხვები მიჰხვდებოდნენ და არ დააცდიდნენ გასვლას, მას ერთად ერთს დარჩენილს გადასარჩენად.

მე შემზარდა და წამოველი თეატრიდან, თანაც არ მინდოდა ჯერ-ჯერობით გამემჟღავნებინა ჩემი ვინაობა. ქუჩაში გავხედე იმ ცის მხარეს, საითაც იყო ომი, იქ ყველაფერი წყნარად იყო და ღამის ცეცხლისაგან გაწითლებული ღრუბლები ნელა და წყნარად მიიზლაზნებოდნენ. „იქნებ ყველა ეს სიზმარია და არავითარი ომიც არ არის?“ გავიფიქრე, მოტყუებულმა ცის და ქალაქის სიმშვიდით.

კუთხის იქიდან გამოხტა ბიჭი და მხიარულად იწყო ყვირილი:

— დიდი შეტაკება! აურაცხელი ზარალი! იყიდეთ დეპეშები, ღამის დეპეშები!

სანათურთან წავიკითხე იგი. ოთხი ათასი ცხედარი. თეატრში იყო ალბად არა მეტი ათას კაცისა. გზა და გზა სულ ვფიქრობდი: ოთხი ათასი ცხედარი, ოთხი ათასი...

ეხლა მეშინიან ჩემ დაცარიელებულ სახლში მისვლა. როდესაც ჯერ კიდევ ვღებ გასაღებს კარებში და ვიცქირი ამ დამუნჯებულ, პირქუშ კარებს, ვგრძნობ, მის ბნელ დაცარიელებულ ოთახებს, რომელზედაც ეს არის, ეხლა გაივლის კაცი ქუდით. მშვენივრად ვიცი გზა, მაგრამ ჯერ კიბეზედვე ვწვავ წუმწუმას, ვწვავ ძლიერ ბევრს, ვიდრე მივაგნებ სანთელს. ძმის სამუშაო ოთახში აღარ შევდივარ, დაკეტილია გასაღებით. მძინავს სასადილო ოთახში, სადაც სრულიად გადავბარგდი: იქ უფრო სიწყნარეა და ჰაერს ჯერ კიდევ ემჩნევა კვალი ლაპარაკისა, სიცილისა და მხიარული წკარუნი ჭურჭლისა. ხანდისხან მკაფიოდ მესმის ხოლმე მშრალი კალმის ჭრიალი; და როდესაც ვწვები ხოლმე ლოგინში...

ი. ხირსელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2801.

◆ სოფელ დილომში შინაურ ოთხ-ფეხ საქონელს გაჩენია რაღაც ავადმყოფობა. 15 აპრილიდან ავად გამხდარა 11 სული და აქედან 7 მომკვდარა.

◆ ამას წინად სოფ. პატარძეულის (ტფ. მაზრა) ბინებიდან, „ნაცვალ წყლიდან“, თათრებმა დაიტაცეს ცხენები და ყარაიაზე ჩარეკეს. იმავ დღეს მათ გამოეკიდა სოფლის მდევარი, ჩავიდნენ ყარაიაზედ თათრების ფარეხებში და მოსთხოვეს, თუ ცხენები არ მორეკეთ, მთელს ფარას ავრეკავთ პატარძეულშიო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, თათრებმა გაგზავნეს სადღაც კაცები და ცხენები სულ მორეკეს. თანაც შეჰპირდნენ, რადგანაც „ერთობაა“, ქურდობას აღარ ვიქთო.

◆ 24 აპრილს, საღამოს 10 საათზე, მთვრალი მუშები მინავალან ქალაქიდან ნაძალადევში. როცა გაუვლიათ ხიდი და შესულან ნაძალადევში, მოსვლიათ ჩხუბი და ერთმანერთი დანებით დაუჭრიათ, ხოლო შემდეგ დაჭრილები თვითონ წაუყვანიათ. პოლიციელები იქვე მდგარან, მაგრამ ჩხუბისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

◆ ს ა დ. ს ა ბ უ ნ ჩ ა. 25 აპრილს მე-12 ვერსტზე ვიღაც უცნობი კაცი შეახტა მატარებელს № 24, მაგრამ მოსწყდა ვაგონს, ქვეშ მოჰყვა და ძლიერ დაშავდა.

◆ 24 აპრილს პოლიციის მე-7 ნაწილში, გრემის ქუჩაზედ ხშირ წვიმებისა გამო ტერ-გალუსტოვის სახლის კედელი, სიგანით 3 არშინი, ჩამოინგრა. კედელმა ქვეშ მოიტანა მაt იამ ხეჩატუროვის ქალი, 8 წლის ტაკუი, და გასრისა. სახლის პატრონი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

◆ ტფილისის მაზრის ორხევის მახლობად სამაზრო პოლიციამ ნახა გვამი პატარძეულის მცხოვრების მიხელ დოლიჯანაშვილისა. მიზეზი მოკვლისა ან მკვლელების ვინაობა ჯერ არ იციან.

◆ ქვემო ავჭალაში ამ რამდენისამე დღის წინად შეტაკებულან იქ მცხოვრები თათრები და ადგილობრივი მცხოვრებნი. მალე მისულან პოლიციელები და წესიერება აღუდგენიათ.

◆ ანჩისხატის ქუჩაზე მცხოვრებმა ვარლამ მიხ. ბაქრაძემ პოლიცმეისტერს აცნობა, ამ ორი დღის წინად ჩემი 17 წლის შვილი ნიკოლოზ ბაქრაძე სახლიდან გავიდა და სადღაც გადაიკარგაო.

◆ 24 აპრილს პოლიციის 1 ნაწილში პოლიციელმა დააპატიმრა ვალერიან შპაკოვსკი, რომელსაც მედვედევის სახლიდან 100 მანეთის ნივთები მოეპარა. ქურდი დააპატიმრეს.

◆ აღდგომის მეორე დღეს სოფ. პატარძეულში ერთ მცხოვრებს გაეტანებინა მოჯამაგირისათვის ხურჯინი, რომელშიაც, სხვათა შორის, ყოფილიყო ტიკჭორა. მოჯამაგირეს ტიკჭორა ამოვარდნოდა. ეს ტიკჭორა ეპოვნა ერთ გლეხს, ამოეღო შინელ ქვეშ ილღიაში და სახლში მიდენილიყო. მაგრამ გზაში წამოსწევოდა ის მოჯამაგირე და ტიკჭორა ეთხოვა, აშასაც აეღო და მიეცა. რადგან ს. პატარძეულში დადგენილია, ვინც რას იპოვნის, უნდა ამორჩეულ კაცებს გამოუცხადოს, ხსენებული გლეხი-კი ასე არ მოიქცა, თუმცა ამორჩეულ კაცებს გზაში შეხვდა, ამისათვის გაბერილი ტიკჭორა ჩამოჰკიდეს ყელზედა და ასე ჩამოატარეს მთელ სოფელ ზე. ახლა ისე არის დაწყობილი საქმე, რომ ვინც კი იპოვის რასმე, მაშინვე ამორჩეულ კაცებს უცხადებს.

ნაძალადეველთა კრება

24 აპრილს ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა ნაძალადევის მიწების მოიჯარადრეთა კრება. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, რამდენიმე ხანია ნაძალადევ ლნი სთხოვენ საბჭოს, ნება მოგვეცით გამოვისყიდოთ საიჯარო ადგილებიო. სხვათა შორის, თავმჯდომარემ განუცხადა კრებას: ამას წინად ზოგიერთმა ხმოსნებმა სთქვეს, ვითომ მოიჯარადრეთა სურვილი მიწების გამოსყიდვისა იყოს ნაყოფი წვრილმან ჩარჩების მადისაო. კრებაზე გამოირკვა, რომ გამომყიდველთაგან ჩარჩი მხოლოდ ოთხიხუთი კაცი ყოფილა. უმრავლესობა-კი ღარიბი მცხოვრებნი არიან, რომელთაც მიწები სპეკულატაციოდ კი არ უნდათ, არამედ თავიანთ საჭიროებისათვის. კრებამ პროტესტი გამოაცხადა თვით-მმართველობის ზოგიერთ პირთა წინააღმდეგ და დაადგინა განაგრძოს მოლაპარაკება სამართველოსთან მიწების დათმობის შესახებ. კრებამ აირჩია 17 კაცი, რომელთაც დაევალად გამოსასყიდლად განზრახულ საიჯარო მიწების დაფასება. არჩეულ იქმნენ: ნიკოლოზ კუშნარევი, ვლადიმერ დედალაშვილი, ხერო ხოჯაევი, ზაქარია გალუმოვი, კ. ზურაბოვი, ტიმ. კოფტევსკი, ივ. ლენჩევსკი, გიორგი სადაკაშვილი, არსენ ქოიავა, ივ. ქურდოევი, ბესარიონ დვალიძე, სიმონ ტორიკაშვილი, იოსებ დარახველიძე, ნიკოლოზ სტაჰაძე, მარ. დავიატისი, ალ. დვალი და დიმიტრი მჭედლიძე. კრებამ დაავალა აგრეთვე განაგრძონ მოლაპარაკება თვით-მმართველობასთან შემდეგ წინადადებათა განსახორციელებლად: 1. ყველა ის ფული, რომელიც ნაძალადეველთ წარადგინეს ქალაქის კასაში, როგორც საიჯარო გარდასახადი, ჩაირიცხოს გამოსასყიდ ფულის ანგარიშში; 2. საიჯარო ფულის გადასახდელ ვადად დაიდოს 10 წელიწადი სარგებლით და 3. მოიწვიონ საზოგადო კრება მოიჯარადრეთა საბოლოოდ საქმის გადაწყვეტის დროს, ე. ი. აქტების შედგენისა და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

შემდეგ კრებამ დაადგინა, აეკრძალოთ მოიჯარადრეთ, რომელნიც შეიძენენ საკუთრებად ქალაქის მიწებს, გაყიდვა ნაძალადევში ანტონის ქუჩიდან მოკიდებული გერმანელთა კოლონიის სამზღვრებამდე. გაყიდვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კომისია სცნობს, რომ პატრონი დიდ გაჭირვებაშია. კრებამ აგრეთვე დაადგინა, არც ერთ მოიჯარადრეს ნება არ მიეცეს ცალკე მოლაპარაკება გამართოს ქალაქის გამგეობასთან. ამის დამრღვევი საზოგადოებიდან გამორიცხული იქნება. მოიჯარადრეთა სავალდებულოდ კრებამ დაადგინა, შესწყვიტონ ქალაქის კასაში საიჯარო ფულის შეტანა იმ დრომდე, ვიდრე მოლაპარაკება მიწების შესყიდვის შესახებ არ დასრულდება. თუ ვინიცობაა ქალაქმა მოინდომა რეპრესიულ ზომებით მოკრება ფულისა, მოიჯარადრეებმა უნდა ქალაქის გამგეობას პროტესტი გამოუცხადონ და ნებით ფული არ დაანებონ. მოიჯარადრენი არ იქმნებიან ვალდებულნი ქვაფენილები გააკეთონ სახლებს წინ იმ დრომდე, ვიდრე მიწებს არ შეისყიდიან. თუ ქალაქმა მოინდომა გამართვა ქვაფენილებისა, შეუძლიან თავის ხარჯით გამართოს ფასი უნდა გამოირკვეს გაკეთებულ ქვაფენილებისა და შემდეგ ნაძალადეველნი გადაიხდიან. სახელმწიფო და მიწების გარდასახადი, შეტანილი დღევანდლამდე ქალაქის კასაში, ცნობილ იქნას უკანონოდ და მოითხოვონ მათი უკანვე დაბრუნება.

ნაძალადეველებმა ერთხმად დაადგინეს, აღძრან შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე გაიყვანოს ნაძალადევში ტრამვაი, გააკეთოს ქუჩები, მოკირწლოს რიგიანად, დაუთმოს მათ ადგილი საზოგადო ბაღის გასამართავად ეკკლესიისა და თეატრის შენობათა ასაგებად, ეთხოვოს აგრეთვე საბჭოს შეაკეთოს ნაძალადევში ხიდი. საბჭოს ეთხოვოს აგრეთვე, რომ ის მცხოვრებნი, რომელნიც 10 წლის განმავლობაში უხელშეკრულებოდ სარგებლობენ და მფლობელობენ სამოსახლო მიწებით და აგრეთვე არ იხდიან საიჯარო გადასახადებს, ცნობილ იქმნენ მესაკუთრეებად. თავისუფალი მიწები ნაძალადევში არ მიეცეს გარეშე პირებს საზოგადოების დაუკითხავად. შუამდგომლობა აღიძრეს მთავრობის წინაშე, დაკეტილ კოხებს აეხსნათ კლიტეები და ნება მიეცეთ პატრონებს თავისუფლად ისარგებლონ. რადგან საჭიროა ქალაქის თვითმმართველობამ გაიგოს მთელი ამ კუთხის მცხოვრებთა მდგომარეობა-საჭიროებანი, ნება მიეცეთ მათ კვირაში ერთხელ გამართონ კრებები ისე, როგორც ამომრჩეველთათვის მართავს ხოლმე ხმოსანი ზ. მირზოევი. ეთხოვოს პოლიციის მე-10 ნაწილის სასანიტარო უბნის ზედამხედველს ან მის ამხანაგებს შეუდგნენ ასეთ კრებების მოწყობას კვირაობით.

ნაძალადეველთა დადგენილება წარედგინება ქალაქის საბჭოს.

რუსეთის ქრონიკა

პოლონელებისა და რუსების კრება მოსკოვში. გუშინ მოვიყვანეთ ფორმულა პოლონეთის ავტონომიისა, რომელიც პრინციპიალურად მიიღო მოსკოვში შემდგარმა კრებამ. ფორმულის მიღებამდე დიდი კამათი ყოფილა დამსწრეთა შორის. ერთი ნაწილი კრებისა, პრინციპიალურად თანახმა პოლონეთის ეროვნულ თვითმართველობისა, ამტკიცებდა, რომ ჩვენ პროგრამაში ვერ შევიტანთ ამ მუხლს, რადგან ოპოზიციონურ პარტიებს ჩამოშორდება ბევრი პირი, წინააღმდეგი პოლონელების ავტონომიისა, და ეს კი ეხლა სასურველი არ არისო. სხვები კი პირდაპირ თხოულობდნენ პოლონელების ავტონომიას და ამტკიცებდნენ, რომ უამისობა შეუძლებელი არისო. ლ. პანტელეევმა სთქვა, რომ პოლონელები ვერ შეურიგდებიან ცენტრალურ კონსტიტუციას და მათი ავტონომია აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო; საჭიროა პირდაპირი ხელშეკრულება ორ ხალხ შუა (რუსებისა და პოლონელებისა), საჭიროა აღდგენა პოლონურ სეიმისა და დამტკიცება მომავალ ფედერატიულ დამოკიდებულებისა ორივე ერის პარლამენტების მიერ.

სეროშევსკი (პოლონელი) მხურვალედ ამტკიცებდა, რომ პოლონური ავტონომია თვით ხალხის მოთხოვნაა. ჩვენ არა გვსურს ვებრძოლოთ რუსის ხალხსა და პარლამენტს თუ რუსულ პარლამენტში უმრავლესობა ჩვენი მოთხოვნის წინააღმდეგი იქნება. პოლონელების საქმე თქვენი (რუსების) თავისუფლების საქმეა, რადგან, თუ პოლონელების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ, რეაქციონურ ღონისძიებას უნდა მიჰმართოთ პოლონეთის წინააღმდეგ, და, როცა ამ გზას დაადგებით, უთუოდ დაჰკარგავთ შეძენილ თავისუფლებას“.

ა. ლედნიცკის აზრით, თვითმართველობის სურვილი ბუნებრივი და ადვილად გასაგები სურვილია, ამის დამალვა არ ვარგა და არც შეიძლება; პოლონური საქმე საერთაშორისო საქმეა; პოლონეთის ავტონომია კი არ დაასუსტებს რუსეთს, პირიქით უფრო გააძლიერებს კიდეც, რადგან შეიძენს ერთგულ მოქალაქეთ, რომელთაც დაიკმაყოფილეს თავიანთი ეროვნული მოთხოვნილებანიო. კომპეტენცია პოლონეთის ავტონომიურ პარლამენტისა იქნება— ადგილობრივი კანონმდებლობა, სკოლა დაბალიდან უმაღლესამდე, სასამართლო, უფლება ხარჯების გაწერისა, ადგილობრივი მეურნეობა; საიმპერიო პარლამენტის საქმე უნდა იქნეს—ფინანსები, სავაჭრო და პოლიტიკური ხელშეკრულებანი, გარეშე პოლიტიკა, საბაჟოები და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.

მანდელშტამი ამტკიცებდა, რომ როგორც არ უნდა გადავწყვიტოთ პოლონურ ავტონომიის საქმე, რეაქციონერების საყვედურებსა და იჭვიანობას თავიდან ვერ ავიცილებთო; ამიტომ ყურადღებაც არ უნდა მივაქციოთო. პოლონეთის ავტონომია კი უეჭველად ხელსაყრელია რუსეთისათვის, რადგან თუ ეს ავტონომია არ იქნა, მომავალ რუსულ პარლამენტი პოლონეთის ეროვნული პარტია ისეთსავე როლს ითამაშებს, როგორც ირლანდიელები ინგლისის პარლამენტში; მხარს მისცემს იმ პარტიას, ვინც მეტს დაუთმობს პოლონეთს და შეუძლებელია, რომ ამით ისარგებლოს რეაქციონურ პროგრამის მომხრეებმა. პოლონეთს ცალკე დამფუძნებელი კრება უნდა ჰქონდეს, მაგრამ მანამდე საერთო წარმომადგენლობამ უნდა გამოარკვიოს ამ კრების კომპეტენცია. თავ. ს. ნ. ტრუბეცკოიმ დაარწმუნა პოლონელები, რომ კრებაზე არავინ იყო წინააღმდეგი პოლონურ ავტონომიისა. „თავისუფალი პოლონეთი— ნამდვილი რეალური ინტერესია თავისუფალ რუსეთისა“-ო.

უნდა მოხდეს მეორე კრებაც, სადაც უფრო დაწვრილებით შეიმუშავებენ ურთიერთ დამოკიდებულებას.

„სევდიანი, თან სიყვარულითა და იმედით აღსავსე იყო სეროშევსკის სიტყვა, რომელიც მან ბოლოს წარმოსთქვაო“,— სწერს კორესპონდენტი. „მან გაიხსენა ის დრო, როცა ამ 27 წლის წინად პირველად მოვიდა მოსკოვში პატიმრის ხალათში, ბორკილებ გაყრილი; გაიხსენა, როგორ პარსავდნენ თმას მის ამხანაგებს.—და ეხლა მალე დადგება დღე, როცა შევიწროებანი მოისპობა, თავისუფალი ხალხი რუსეთისა ბედნიერებისა და ძიების გზას დაადგება და ასეთსავე გზას მისცემს მოძმე პოლონეთის ერს“-ო.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“. 26 აპრილი

ამოი, 25 აპრილი (რეიტ.). აქ მოსული მგზავრები იუწყებიან, იაპონიის გემები დაინახეს ამოისა და გონკონგს შორისო. იაპონიის პატარა გემები გამუდმებით შედიან ამოიში ცნობების მისაღებ-გადასაცემათ. იაპონიის პატარა მზვერავი გემები ჰყავს, რომელნიც ზვერავენ ფორმოზის სამხრეთ ნაწილს და გადადიან აგრეთვე წყნარ ოკეანეშიც. ამ ადგილების პირდაპირ მხარეებს სხვა პატარა გემები ზვერავენ. ტაპსუაში ცენზურა დაარსეს.

საიგონი, 25 აპრილი. (ჰავასი). ადმირალ ჟონკიერის მზვერავმა გემებმა აღმოაჩინეს როჟესტვენსკის ესკადრა, რომელიც ხონკოედან სამხრეთით წასულიყო და დამდგარიყო იქვე, ახლოს, მეორე ბუხტაში. როჟესტვენსკიმ განაცხადა, ახლავე გავალ აქედანო.

პარიზი, 25 აპრილი (ჰავასი). გუშინ მოტონოს თუმცა ფორმალური პროტესტი არ განუცხადებია დელკასესთვის საფრანგეთის მიერ როჟესტვენსკის სასარგებლოთ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ, მაგრამ სიტყვა-კი ჩამოუგდო მინისტრს იმ ცნობებზე, რომელნიც ინდოეთ-ჩინეთიდან იყო მოსული და რომელნიც შეეხებოდა, რუსეთის ესკადრის საფრანგეთის წყლებში ყოფნას და იმ შემსუბუქებას, რომელიც როჟესტვენსკიმ ჰპოვა ხსენებულ წყლებში სურსათის შოვნის დროს. დელკასემ წინანდელი სიტყვები გაიმეორა და დაარწმუნა მოტონო, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს სასტიკად დაიცვას ნეიტრალიტეტიო. აი ამ მიზნით ინსტრუქციები გაეგზავნა საფრანგეთის მოხელეებს ინდოეთ ჩინეთშიო.

სიტიაზა, 25 აპრილი. 22 აპრილს მდ. ხუნხეს ხეობაში, ჩვენს მარცხენა ფრთაზე, ინგოლინის უღელტეხილზე სროლა მოხდა ჩვენს კოლონასა და იაპონელების ორ ბატალიონს შორის, რომელთაც 6 ზარბაზანი ჰქონდათ. ხმებია, ჩვენს მარჯვენა ფრთაზე შეამჩნიეს დიდძალი კავალერია იაპონელებისო. იაპონელებმა სადარაჯო რაზმები გააძლიერეს.

შანხაი, 25 აპრილი. იაპონიის კონსულმა პროტესტი განუცხადა გემებს, რომელნიც ტაიჩებით ნახშირს უზიდნენ. კომისარმა ეჭვი შეიტანა, ნახშირი, ალბად, რუსის ესკადრისათვისაა საჭიროო, და ამიტომ მოწმობა არ მისცა ხუთ ამისთანა გემს. იუწყებიან, იაპონელების მეგობარი, ჩანერ სუეპი, გუნნანგის ყოფილი გუბერნატორი, აწინდელი ხაზინადარი სატახტო ქალაქისა, მუკდენში ინიშნება მეფის თანაშემწეთო. იაპონელები ჰყიდულობენ ძაფის სახვევ მთავარ ქარხნებს.

შანხაი, 26 აპრილი. ნანკინელმა მეფის თანაშემწემ გადასცა შანხაის დაოტაის იურისკონსულტს იურიდიულად დამუშავებული პროექტი იაპონელების მოთხოვნებისა, რომელნიც შეეხებიან ჩინეთში იაპონიის სასულიერო წოდების გათანასწორებას კათოლიკეთა მისიონერებთან.

ლოძი, 26 აპრილი, შუადღისას მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის აგენტი მაცაშეკო. მკვლელები მიიმალნენ. დღეს საერთო გაფიცვა დაიწყო ქრისტიანეთა ეკლესიაში.

პეტერბურგი, 28 აპრილი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ასხაბადსა და ცარიცინში თითო შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისა.

კიევი, 26 აპრილი. პროგრესიულ წრეების წინააღმდეგ დაარსდა კონსერვატიული ნაციონალურ-პატრიოტული საზოგადოება, რომელსაც, უმეტესად, გაჭრები შეადგენენ. საორგანიზაციო კომიტეტში შევიდა ნოტარიუსი გრაფი პლატონი და გაჭრები სმირნოვი და ვერესტოვსკი.

მოსკოვი, 28 აპრილი. საკონდიტრო მაღაზიების ნოქრებმა პირობა შეჰკრეს, გავიფიცნეთ მაისში, თუ აღებმა ჩვენი მოთხოვნები არ შეასრულონო.

კირსანოვი, 26 აპრილი. რასსკაზოვში, ტამბოვის გუბერნიაში, გაფიცვა დაიწყო რაგოზის ფაბრიკაში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“. 26 აპრილი

გუნჩულინი, 25 აპრილი (საკუთ. კორ.). საერთოდ ცვლილება არ მომხდარა. მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ გამოჩნდა მტრის ცხენოსნების დიდძალი რაზმი; ადვილი შესაძლებელია, რომ ეს დასაწყისი იყოს იაპონელების წინ გალაშქრებისა.

ლონდონი, 25 აპრილი. როგორც დილის გაზეთები, ისე საღამოსიც, აღელვებულის კილოთი ლაპარაკობენ; მათის აზრით საშიშოა, ინგლისი და საფრანგეთი არ ჩაერიონ რუსეთ-იაპონიის კონფლიკტში როჟესტვენსკის მოქმედების გამო. „პელ-მელ-გაზეთ“-ის სიტყვით, მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივსა და საბოლოო ზომებს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა 15 თვის განმავლობაში მიღებულმა ზომებმა უსარგებლოთ არ ჩაიარონ, როცა ომის ასპარეზი განისაზღვრება. ორივე მთავრობა სცდილობს, თავი დაიღწიონ ომს, მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაში, არც ერთი არაა თავის თავის ბატონი. გერმანია ყველაზედ მეტს სარგებლობას გამოიტანს ამისთანა უბედურებიდან. „ვესტმინსტერ გაზეთ“-ი ამბობს, საქმე იმიტომ გაუჭირდა ყველა სახელმწიფოს, რომ ნეიტრალიტეტის კანონი არაა გარკვეულით და დასძენს, კამრანის ბუხტა კერძო კონცესიონერს ეკუთვნის და, როცა საკითხი ჩამოვარდა რუსეთის ესკადრისთვის ინგლისის ნახშირის მიყიდვაზე, ინგლისის მთავრობაც თავაზიანათ მოიქცა და განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან კანტროლი უყოს კერძო პირებსო.

ამოი, 25 აპრილი. იაპონელებმა დააარსეს მზვერავ-კრეისერთა სასიარულო გზა, რომელიც გარშემო უვლის ფორმოზას. იმ ხმების შესახებ, რომ კაბელი გადაჭრილია, ამბობენ, ფორმოზაზე სასტიკი ცენზურაა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მას მიწერ-მოწერა აქვს პესკადორის კუნძულებთანო. იაპონელთ ბაზას ტამსუი და პესკადორის კუნძულები შეადგენენ.

საიგონი. ორი კომერციული გემი დღეს კუნძულ პულოკანდორზე წავა და ნებოგატოვის ესკადრას სურსათს წაუღებს, და ამის შემდეგ შეუერთდება როჟესტვენსკის.

ვალპარაისო. ჩილის მთავრობამ გადასწყვიტა რამდენიმე თვის წინ, არ მიჰყიდოს სამხედრო გემები მეომართ.

ტოკიო. ჰფიქრობენ, ნებოგატოვი როჟესტვენსკის შეუერთდა დღეს ანამის ნაპირებსა ანა და ტონკინის ბუხტის ახლო-მახლოო. იაპონელების ფიქრით ამ ჟამად ბალტიისა, ვლადივოსტოკისა და ბალტიის მესამე ესკადრებს საერთოდ შეადგენს რვა ჯავშნოსანი, ორი ჯავშნიანი და ცხრა უჯავშნო კრეისერი და სამი საკანონიერო ნავი. იაპონელებს-კი 14 ჯავშნიანი სამხედრო და 12 უჯავშნო გემი ჰყავთ. იაპონიის გემები შეიარაღებულია 24—25 12 დიუმიანი, ერთი ათ დიუმიანი და 4 ცხრა დიუმიან ზარბაზნებით. ამ ჟამათ 80 ნაღმოსანი და კონტრ-ნაღმოსანი უყენია იაპონიას ფორმოზის სრუტის მცველად.— დეკემბერში იაპონიამ ამერიკის პეტერბურგელ ელჩის პირით წინადადება მისცა რუსეთს, გავსცვალოთ ტყვეებიო. რუსეთის მთავრობამ ამ რამდენიმე დღის წინად მიიღო ეს წინადადება.

პეტერბურგი. ხელმწიფემ მის უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის დრაგუნთა მე-39 ნარვის პოლკს ერთგულის სამსახურისთვის, 200 წლის ასრულების გამო, უბოძა ახალი დროშა საუბილეო ლენტით, რომელზედაც აწერია: „1705—1905“.

კანეია. აჯანყებულებმა დაიჭირეს 15 ჟანდარმი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,75 1/2
ბარჟის დისკონტი	5 1/2 6 3/4 %
4% სახელმწიფო რენტა	84
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	292 3/4
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	272
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	219

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „

განცხადებანი

ტფილისის ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ საზოგადოების ექიმებად ითვლებიან:

1. **არწრუნი** ვ. მ.—ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის ექიმი. განოვის ქუჩა.
2. **ბეორგ-ბეკიანი** ტ. პ.—თვალის ავადმყოფობის ექიმი. ბებუთოვის ქუჩა.
3. **ისტამანოვი** ხ. ს.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, ბებუთოვის ქუჩა, № 26.
4. **ქამოევი** ლ. ი.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, მიხაილოვის ქუჩა.
5. **კარაპეტიანი** ა. პ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი. მიხაილოვის ქუჩა, № 94.
6. **უმიკოვი** ი. ბ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი, განოვის ქუჩა, № 29.
7. **კაზებანსკი** გ. ს.—ელისაბედის ქუჩა.
8. **მაისურიანცი**, პ. ა.—ველიამინოვის ქუჩა.

წესები სამკურნალო დახმარების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის კანტორაში, განოვის ქუჩა, ფრიდონოვის სახლი. (3—3)

ცხოვრების სალსარი

ვასწავლი საფუძვლიანად, პირადად და წერილებით ყველა ენებზე, დამზადებას—საპნის, სოდის, ნაცარწმენდილის. სამავრის და გოდორების წასასმელის, სარკეების, ასანთები ზეთის, ლილას და ბევრ სხვა საგნების. დაწვრილებით პირობებს ვაცნობებ იმას, ვინც ორ 7 ვაპეიკიან მარკას გამომიგზავნის. ადრესი: Баку, Одесское химическое производство И. Бромбергу. (4—190—3)

პირველი საწყობი

შეშისა

ვ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოვნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწონობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—4 ჯ) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

НЕСТЛЕ
Детская молочная мука
Сгущенное молоко Нестле. (0—1)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

ცელულიარული გრენა

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საჭახავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—5.—[illegible])

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- შ. გ. შვილისა—პოემა ბახნაზი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივ II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პროტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20